-63
332/1924/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი.

1. როგორ უნდა ვსცეთ პატივი ლენინის ხსოვნას,—წერილი ნ. ა. კრუპსკაისი . 1
2. მოწოდება 2
3. უნდა გახდეთ ლირსი „ლენინის სახელობის ბავშთა ჯგუფის სახელწოდებისა“ ა. მდივანისა 3
4. ორი კომუნა, პიემა 1 მოქმედებად და ორ სურათად ს. ერთაწმინდელისა . . 6
5. წითელ ლაშქარს,—ლექსი ს. ოდიშელისა 11
6. რატომ!—მოთხრ. თარგ. მ. დონდუასი. 12
7. ახალგაზრდა ლენინელების სიმღერა,—ლექსი ა. მაშაშვილისა 17
8. თეთრი ნახშირი,—კირ არჯევანიძისა 18
9. გაზფხულდა,—დ. თურდოსპირელისა 20
10. ანასტასია ერისთავი-ხოშტარია,—მ. ქ—ისა 21
11. წითელ სხივს,—ლექსი საფო მგელაძისა 23
12. ბავშთა ცხოვრეაა: ვინ არიან ახალგაზრდა პიონერები—ლენინელები, ძია ლენინის დასაფლავების დღეს, ტფილისის მე-3 რაიონთან არსებული მიწა-ტყის კოლექტივში, ახალგაზრდა ლენინელ ბავშთა კომ. ჯგ. ქ. თელავში, აფხაზეთის ახალგაზრდა პიონერები, საქართველოს ლენინის სახელობის ბავშთა კომუნ. ჯგუფ. ახალგაზრ. კომკავშ. ცენტრ. საბჭო, ამიერ კავკასიის ლენინის სახ. ბავშთა კომ. ჯგუფ. ცენტრ. საბჭო, ბ. კ. ჯგუფ. ქ. ზესტაფონში. 23
13. ილიჩის საყვარელი ლექსი,—თარგ. ჰ. ოდიშელისა 26
14. წითელი გასეირნება გერმანულ ბავშთა კომუნ. ჯგუფებისა,—თარგ. 26
15. იაპონია,—ნაწყვეტი თარგ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა 29
16. მეცხვარე და მარტი,—ხალხური თქმულება დ. ნახუცრიშვილისა 32
17. გასართობი და ახსნა. . . . . ყდაზე.

Წ-63

1924 | განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის და ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალ. კომიტ. ჟურნალი ბავშვებისათვის. | წელიწადი 1

ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ-ᲛᲐᲠᲢᲘ № 2—3



ᲚᲔᲜᲘᲜᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲬᲔᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ამხანაგო მუშებო და გლეხებო! დიდი სათხოვარი მაქვს თქვენთან: ნუ გამოსთქვამთ თქვენ მწუხარებას ილიჩის ხსოვნის აღსანიშნავად გარეგნული პატივისცემით. ნუ აუგებთ მას ძეგლებს, მისი სახელობის სასახლეებს, დიდ ზეიმებს და სხ. ყველა ამას ლენინი მცირე მნიშვნელობას აძლევდა, სტანჯავდა ამგვარად მწუხარების გამოსახვა. გახსოვდეთ, რომ ჯერ კიდევ დიდი სილატაკეა ჩვენს ქვეყანაში და მოუწყობელია ჩვენი ცხოვრება. თუ გსურთ პატივი სცეთ ვლადიმერ ილიჩის ხსოვნას — დააარსეთ ბავშვებისათვის ბაგები, საბავშო ბაღები, საბავშო, სახლები, შკოლები, წიგნთსაცავები, ამბულატორიები, საავადმყოფოები, ინვალიდების სახლები და სხვა.

გაატარეთ ცხოვრებაში მისი მცხება!

ნ. ა. ᲙᲠᲣᲞᲡᲙᲐᲘᲐ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშთა ცხოვრება

მოწოდება

საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყველა წევრებს

ძვირფასო ამხანაგებო!

21 იანვარს თავზარდამცემი ამბავი დაატყდა თავს საერთაშორისო მუშათა კლასს: გარდაიცვალა სოციალისტური რევოლიუციის შეუდარებელი წინამძღოლი და კომუნისტურ პარტიის უბადლო ბელადი — **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.**

შესწყდა ის დაუშრეტელი წყარო, რომლიდანაც უხვად იფრქვეოდა უდიდესი სტრატეგია მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში, მოკვდა სალი კლდისებური დარაჯი მუშათა კლასის.

ლენინმა მთელი თავისი ცხოვრება, ენერგიის უკანასკნელი წვეთები შესწირა ბრძოლას. უსამართლობასთან ლენინის შეუდარებელმა გენიამ სასიკვდილოდ დასჭრა მსოფლიო კაპიტალი და მიელი დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე მუშათა კლასს მიანიჭა ბრწყინვალე გამარჯვება.

საბჭოთა ხელისუფლება და მისი მესვეური კომუნისტური პარტია ლენინის უდიდესი ნიჭის ნაყოფია.

ლენინი და მისი შემოქმედება ლენინიზმი — აი რით იკვებებოდა, სცხოვრობდა და მომავალშიაც იცხოვრებს პროლეტარიატი.

არა ერთხელ და ორხელ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკები უდიდეს განსაცდელში ჩავარდნილა, მაგრამ ლენინის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა.

დიადია ღვაწლი ამხ ვ. ი. ლენინის მუშათა კლასისადმი! დღეს კი დაგლოვდა მთელი ქვეყანა მისი დაკარგვით. ჩვენ დავკარგეთ ყველაზე უფრო დიდი საუნჯე, ყველაზე დიდ დანაკლისს განვიცდით ჩვენ.

მაგრამ ერთია იმედი: ლენინმა მუშათა კლასისთვის გამოსჭრა ბასრი იარაღი, უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველი სტრატეგია — ლენინიზმი.

ლენინიზმი — აი რა არის ჩვენი სწავლის და ბრძოლის ყოველდღიური საზრდო. მომავალი თაობა, აღზრდილი და გაწვრთნილი ლენინიზმის იდეებით, ნოგანიჭებს ჩვენ საბოლოო გამარჯვებას.

დღეს მთელი ახალგაზრდობა გაორკეცებით დანაღვლიანებულია ლენინის სიკვდილით.

რატომ, რისთვის გვიყვარდა ჩვენი ილიჩი? იმიტომ, რომ ილიჩი იყო ჩვენი საყვარელი მასწავლებელი, დამრიგებელი და მეგობარი. ვლადიმერ ილიჩს ყველაზე უფრო უყვარდა ახალგაზრდობა და ბავშები. ბავშებზე ამყარებდა ის მთელ იმედს, მისთვის ზრუნავდა, მისთვის აწყობდა ბავშთა ჯგუფებს, **თავშესაფარებს,** ბაღებს და ეხმარებოდა ყოველმხრივ ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირს ბავშთა კომუნისტურ აღზრდის საქმეში.

იმ ძლიერი სიყვარულის გამო, რომელსაც ვ. ილიჩი ბავშებისადმი იჩენდა და იმ აუწერელი ენერგიული მუშაობის გამო, რომელსაც ის ხარჯავდა იმისათვის, რომ სწორ გზაზე დაეყენებია მოზარდი თაობა, რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი ადგენს: საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირის ტერიტორიაზე არსებულ ყველა ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებს (პიონერები, სპარტაკელები და სხვა), ამიერიდან ეწოდოს „ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტური ჯგუფები“.

ეგებება რა სრული თანხმობით ამ დადგენილებას საქართველოს ახალგაზრ. კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი და „ბავშთა კომუნისტური ჯგუფების“ ცენტრალური საბჭო, ადგენს: საქართველოში არსებულ ყველა ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებს ეწოდოს „ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფები“.

მაგრამ ამხანაგებო! ჩვენ უნდა გვახსოვდეს დიდი მასწავლებლის ლენინის სიტყვები „საქმე სახელწოდებაში არ არის“. ჩვენმა ახალგაზრდა პიონერებმა და ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციის ყველა წევრებმა და მთელმა მოზარდმა თაობამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გაამართლოს ეს უწმინდესი სახელწოდება. ჩვენ უნდა შევიქმნეთ დიდებული მასწავლებლის სახელის ტარების ღირსი და ეს მოხდება მაშინ, როდესაც ჩვენ ყველანი დავეწაფებით ლენინის გენიალურ შემოქმედებას, ლენინიზმს.

მოგიწოდებთ დადგეთ თავისი მოწოდების სიმაღლეზე და გაამართლოთ ვ. ლენინის მიერ დაკისრებული მოვალეობა.

ლენინიზმით შეიარაღებული გავ'წიოთ წინ, ახალი ქვეყნის შენებისაკენ—კომუნიზმის სამეფოში, რომლისთვისაც თავი დასდო დიდმა ბელადმა ილიჩმა.

კომუნისტური სალამით

ს. ა. კ. კ ცენტრალური კომიტეტი და ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ცენტრალური საბჭო.

უნდა გახდეთ ღირსი „ლენინის სახელოგის გავშთა კომუნისტური ჯგუფეგისა“.

საუბარი პირველი.

სპარტაკის სახელობის ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებმა მთელ საქართველოს ახალგაზრდა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ცენტრალური საბჭოს დადგენილებით, 26 იანვარს, მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის, ილიჩის გარდაცვალების გამო, მიიღეს სახელწოდება: „ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტური ჯგუფები“.

ეს სახელწოდება არის ყველაზე უფრო წმინდა და შესაფერი სახელწოდება იმ მოზარდ თაობისათვის, რომელიც იუურჩქნება და იზრდება კომუნისტური პარტიის, უშუალოდ კი ახალგაზრდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა კომუნისტურ კავშირის ხელმძღვანელობით; სწორედ ლენინი იყო ის გენიალური პიროვნება, რომელიც დაუღალავი ენერგიით ხელმძღვანელობდა კომუნისტურ პარტიას, მშრომელ ხალხის—მდიდრების, კაპიტალისტების უღლიდან განთავისუფლების საქმეში. სწორედ ლენინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ახალგაზრდა კომუნისტური კავშირები, რომლებსაც მაგრად უჭირავს ხელში ლენინიზმის დროშა.

როცა ისმება კითხვა მოზარდი თაობის წინაშე, თუ როგორ უნდა გაამართლონ ბავშთა კომუნისტურმა ჯგუფებმა ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტური ჯგუფების სახელწოდება,—პასუხი ერთია: **საჭიროა ახალგაზრდა-განვითარება ლენინიზმის დროშის ქვეშ, შესწავლა ლენინის ცხოვრების, როგორც ერთად-ერთი გარანტია მთელ მსოფლიოზე მშრომელი ხალხის საბოლოო განთავისუფლებისათვის.**

ლენინმა ახალგაზრდა თაობას ერთი უმთავრესი ყურადღება მიაქცია, რადგან მან იცოდა, რომ სწორედ მოზარდი თაობაა ერთად-ერთი ყავარჯენი იმ შრომის საზოგადოების, რომლის შექმნისაკენაც მიემართება მთელი მსოფლიო მუშათა კლასი.

რას ასწავლიდა ლენინი ახალგაზრდობას?

ახალგაზრდა ლენინს პატარაობიდანვე აინტერესებდა საზოგადოებრივი საკითხები. ის გულდასმით კითხულობდა და ეცნობოდა ბატონყმობის საკითხს, მუშათა საკითხს და სხვ. ლენინზე დიდი გავლენა ჰქონდა მის ძმას ალექსანდრეს, რომელიც იმ ხანში ითვლებოდა დიდ მებრძოლად და თავდადებული მუშაობდა მშრომელთა თავისუფლების მოპოებისთვის. ალექსანდრემ მოაწყო მეფე ალექსანდრე მე-III-ზე თავდასხმა, და ამისათვის ის სიკვდილით დასაჯეს. ამ ამბავმა ლენინის ჯერ კიდევ ნორჩ გულში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სიძულვილის გრძნობა ჩანერგა და უფრო თვალსაჩინო გახადა მთელი ის სისაძაგლე, რომელსაც მეფის მთავრობა ეწეოდა იმათ წინააღმდეგ, ვინც დამონავებულ და დაჩაგრულთა განთავისუფლების დროშას ამართავდა. სწორედ ამ დროდან იწყება ლენინში გმირული, რევოლიუციონური სულის განვითარება. ლენინი შეუდგა ისეთი შინაარსის წიგნების კითხვას, რომელშიდაც ნათლად ჩანდა მეფის მთავრობის და მის ჩინოვნიკ-ჟანდარმების აღვირახსნილობა, მთელი ის ჩაგვრა და მძიმე ცხოვრება, რომელსაც მუშათა კლასი განიცდიდა.

ვლადიმერ ილიჩს, როგორც გადმოგვცემს მისი ამხანაგი, სწავლის დროს გიმნაზიაში გადაჰქონდა ყოველივე ის კითხვები, რაც მას აღელვებდა თავის მეგობრებისა და ამხანაგების წრეში.

„ყოველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო შეკრება: ბაღებში, სეირნობებზე, ზამთარში მარხილებით სრიალის დროს — ვგროვდებოდით ჩვენ მჭიდრო წრეში და ლენინი სვამდა კითხვებს მუშებისა და ბატონყმობის შესახებ, რაც ჩვენ შორის ცოცხალ კამათს იწვევდა. მაშინაც ლენინს ყოველთვის **უმრავლესობა ემხრობოდა. მას ჰქონდა ნიჭი დაემტკიცებინა ამხანაგებისთვის თავისი სიმართლე.**

როდესაც ამხ. ლენინი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ კაზანის უნივერსიტეტში გადავიდა, მან იქ შექმნა სტუდენტთა წრე, რომელიც ეწეოდა ენერგიულ მუშაობას მისი ხელმძღვანელობით. როდესაც ლენინს 1895 წ. შეუსრულდა 26 წელი, ის უკვე მუშათა კლასის თავისუფლებისათვის მებრძოლ პეტერბურგის კავშირის ერთი მთავარი ხელმძღვანელი გახდა, და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მუშათა მოძრაობას.

ლენინმა სათანადოთ შეისწავლა მარქსის მოძღვრება. მარქსი გვასწავლის, რომ მანამ ქვეყნიერებაზე არ დამყარდება კომუნისტური საზოგადოება,—ისეთი საზოგადოება, სადაც მთელი მიწა-ფაბრიკა-ქარხნები იქნება არა რომელიმე პირის, არამედ მთელი საზოგადოების საკუთრება, მანამდე ყოველთვის საზოგადოებაში იქნება ადამიანის ადამიანზე ბატონობა, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა. დააკვირდა რა საზოგადოების ისტორიას მარქსის გენიალურმა ნიჭმა აღმოაჩინა რომ, დღევანდლამდე საზოგადოების ისტორია წარმოადგენდა დაჩაგრულთა მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიას, რომ საზოგადოებაში არსებობს ორი უმთავრესი კლასი: ჩაგრულთა და მჩაგვრელთა კლასი. ჩაგრულთა კლასს, ანუ პროლეტარიატს, რომელსაც არავითარი საკუთრება არ გააჩნია, მუშაობს რა ფაბრიკა-ქარხნებში და ჰქმნის ყოველივეს, რაც საჭიროა ადამიანისთვის ცხოვრებაში, არა აქვს უფლება ისარგებლოს თავისი ხელით შექმნილ ნივთებით, რადგან ფაბრიკა-ქარხნები შეადგენენ მდიდრების, კაპიტალისტების კლასის საკუთრებას.

ლენინმა ახალგაზდობიდანვე შეითვისა და აღიჭურვა მარქსის აზრებით და შეუდგა მუშათა განთავისუფლების საქმეს და მას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე. კ. მარქსის შემდეგ, ლენინის მთავარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ თუ მარქსმა პირველად აღმოაჩინა მუშათა კლასის გამარჯვების აუცილებლობა, ლენინმა თავისი ხელმძღვანელობით უკვე სინამდვილეში განახორციელა მისი ასეთი აზრები და მთელი მსოფლიოს დაჩაგრული ხალხი დააყენა გამარჯვების გზაზე.

ლენინმა არ დასტოვა უყურადღებოთ არც ერთი მოვლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მან დიდი ყურადღებით მოეკიდა იმ ხანის მოსწავლე ახალგაზრდობის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

1901 წლებში მოსწავლე ახალგაზრდობა ამხედრებული იყო მეფის თვითმპყრობელობის და ძალადობის წინააღმდეგ. მოსწავლე ახალგაზრდობა, უმთავრესად უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტობა, აქტიურ ბრძოლას უცხადებდა მეფის მთავრობას. ასეთ განწყობილებას მოსწავლე ახალგაზრდობაში ლენინი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა საერთო მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის. აძლევდა მათ რჩევა-დარიგებას და **მოითხოვდა მთელი უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობისაგან გაფიცვების მოწყობას.**

ამ დროს მუშების მთავარი მიზანი იყო თვითმპყრობელობის დამხობა. ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობაში მეფის წყობილებით სწორედ მუშები იყვენ და, რადგანაც მოსწავლე ახალგაზრდობა იბრძოდა ამ მუშების მიზნებისათვის — მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად, ლენინი მოითხოვდა მუშებისაგან, რომ გაერთიანებული ფრონტით ემოქმედათ მეფის დესპოტიზმის წინააღმდეგ, შეეწყოთ ხელი მოსწავლეების გაფიცვისათვის ფართე **დემონსტრაციების** მოწყობით და სხვ.

ლენინი მოევლინა მოსწავლე ახალგაზრდობას როგორც ხელმძღვანელი:

1903 წელს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ყრილობაზე ლენინმა განსაკუთრებული წინადადება შეიტანა „რომ ყრილობა ესალმება **მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლიუციონურ თვითმოქმედებას და გამოცდილებას, და მოუწოდებს პარტიას ყოველივე დახმარება გაუწიოს მოსწავლე ახალგაზრდობას, შეასწავლოს მარქსის მოძღვრება, უხელმძღვანელოს და დარაზმოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.**“

გარდა ამისა ლენინი მოითხოვს ამ რეზოლიუციაში, რომ „**ახალ გაზარდობა ფართედ უნდა ჩაებას საერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ ახალგაზრდობა რევოლიუციონურ მუძრაობაში უნდა იღებდეს პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურ მონაწილეობას**“-ო. მაგრამ მარტოვი, ვითომც როგორც წარმომადგენელი ახალგაზრდობის მეგობრების ლენინის ასეთ წინადადების წინააღმდეგ წავიდა და ყრილობამ უარყო ლენინის წინადადება. ყრილობა ურჩევს ახალგაზრდობას, არ ჰქონდეს თავისი ორგანიზაცია, რადგან ისინი ახალგაზრდები არიან და ჯერ „არ არის საჭირო იბრძოლონ ორგანიზაციულად“.

დღეს, როცა მთელ საბჭოთა რესპუბლიკებში ახალგაზრდობას აქვს თავისი ორგანიზაცია — ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, რომელიც უმთავრესად შესდგება მუშათა და ღარიბ გლეხთა ახალგაზრდობისაგან საერთო ხელმძღვანელობას უწევს მთელ ახალგაზდობის მოძრაობას, იბრძვის თავის უფროს ძმასთან — კომუნისტურ პარტიასთან ერთად ძველი ცხოვრების ყოველივე ნაშთის აღმოსაფხვრელად, ახალი შრომის საზოგადოების აღმშენებლობისათვის. სწორედ დღეს ყოველმა ახალგაზრდა ლენინელმა, ყოველმა პიონერმა უნდა მისცეს ანგარიში თავის თავს: „**რა დიდი დასაფასებელია და საყვარელი ლ ე ნ ი ნ ი ს 1901—3 წლებში წარმოთქმული ის სიტყვები, სადაც იგი მოითხოვს ახალგაზრდობის რევოლუციონურ მოძრაობაში ფართე მონაწილეობის მიღების საჭიროებას.**

ა. მდივანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი კომუნა

1 მოქმედებად და 2 სურათად.

სურათი პირველი.

პარიზი 1871 წ. 23 მაისი.

მომქმედნი:

ჟიულ
პიერ
ჟაკ
ლუი
ემილ
შარლოტა
ლუიზა
როზეტა
ტიერის ლანდი

} ახალგაზდა კომუნარები

სცენა: ბარიკადა კარდინეს ქუჩაზე, რომელზედაც ფრიალებს დროშა. საღამოა, შორს ისმის ყრუ სროლა, რომელიც თანდათან ახლოვდება, ბარიკადზე არიან: პიერ, ჟაკ, ჟიულ, ლუი, შარლოტა და ლუიზა. ისმის მარსელიეზა.

ლუი. ეს ჩვენები ესვრიან?

ჟაკ. არა, ჩვენები მხოლოდ ლამაზად კვდებიან კომუნისთვის მარსელიეზის ჰანგებში, აი, მე ვხედავ აქედან, რომ ერთი ფედერალი მეზარბაზნეს დარჩა სენ-ჟენის ალაყაფის კართან, რომელიც ეს თხუთმეტი წამია თითქმის რაც მარტო იბრძვის და აჩერებს გენერალ კლენშანის ჯარებს, რომელიც ბატინიოლის მხარეს უტევს.

შარლოტა. (ჟიულს, რომელიც დროშასთან ზის დაღონებული) ჟიულ!

ჟიულ. აჰ, შენა, შარლოტა? რა გინდა?

შარლოტა. რაზე შეკრთი? რამ დაგაღონა?

ჟიულ. მე არა... ისე...

შარლოტა. ჟიულ, შენ მიმალავ!.. მე ვიცი, რომ...

პიერ. სადაა ემილი აქამდე?

ჟაკი. ისა და პოლ ტყვიებზე გაგზავნა ჟიულმა.

შარლოტა. ჭრილობა გაწუხებს?

ჟიულ. არაუშავს-რა, გავუძლებ, მარკხენა მკლავი თუ აღარ ივარგებს, მარჯვენა ხომ ჯერ უვნებელია. დეე, ესეც ჩვენ საყვარელ კომუნას შეეწიროს, რომლისთვისაც ეს მეორე თვეა სისხლიდან იცლება პარიზი და, რომლისთვისაც იბრძვიან ჩვენი მამები, დედები, ძმები, დები...

შარლოტა. ჟიულ, შენ გმირი ხარ, მოდი გამოგიცვლი მალამოს, შესახვევებს...

ჟიულ. ოჰ, არა, შეინახე, ისეც ცოტა გვაქვს, საჭირო იქნება. მე ვატყობ რომ, ჩვენი საქმე...

ლუიზა. პიერ, შეხე? (ახვევებს შორს).

პიერ. (უმიზნებს თოფს), ჰაი დედასა! ეხლავე ავაყირავებ.

ლუი. მოიცა, არ ესროლო, ჩვენია ვგონებ, ნაციონალურ გვარდიის ჯარისკაცია.

პიერ. როგორ თუ ჩვენია, ფედერალს რომ ეპარება? ზუავია, ზანგი.

ლუი. გენერალ მონტოდონის დივიზიიდან?

პიერ. კლენშანის ჯარშიც არიან. ჰოპ! (ესვრის). მოხვდა.

ლუიზა. როგორ გადმოტრიალდა და დაეცა! ხანჯალი ხელიდან დაუვარდა!..

ლუი. ჟაკ (ერთად) ყოჩაღ პიერ! (სიხარულით)

პიერ. ეხლა წავიდეს და სისხლისმსმელ ტიერს მიუტანოს კარგი ამბავი.

ლუიზა. მომეცით კარგი თოფი, ამ ერთი ბეწო დამბაჩით რა უნდა ვქნა? სამ ნაბიჯზე ძლივს აღწევს.

პიერ. შენ მოწყალების და ხარ, ბრძოლა კი ჩვენ დაგვანებე!.. ეგ კი იმ დროსთვის შეინახე, თუ ვერსალელები მოგვიახლოვდენ და მათ აფიცერს მოეწონე, როგორც ლამაზი მონმარტრელი, მაშინ ახლო იქნება და პირდაპირ შუბლში... (იცინიან).

ლუიზა. რა არის პიერ, სადაური ხუმრობაა? შენ სულ ეკრე უნდა... (იბუტება).

ლუი. ყურადღებას ნუ აქცევ ლუიზა, ხომ იცი რა მოუსვენარია.

პიერ. ამას გონია, რაკი მუშის შვილი ვარო, არ მაკადრებსო. (იცინის).

ჟიულ. საღამოც მოახლოვდა, ღამდება... (მწუხარედ), მაგრამ გაგვითენდება კი?..

შარლოტა. ჟიულ!..

ჟიულ. შარლოტა! (ადგება და ხელს დაუჭერს). შენ მაინც წადი, თავს უშველე. ჩვენ სულერთია...

შარლოტა. ჟიულ! რას ამბობ! მე შენ არ მოგშორდები, არა, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ? ჩვენ

ხომ ყველამ შევფიცეთ ამ ბარიკადზე, რომ ან გავიმარჯვოთ, ან ერთად დავიხოცოთ? მე არსად წავალ, ან სად უნდა წავიდე? ჩვენი უბანი მთლად დანგრეულია, მამა პერლაშეზე მოკლეს, ძმა კიდევ როზიეს ქუჩაზე და...

ლუი. ჟიულ!

ჟიულ. რა იყო?

ლუი. დრო არაა ჯერ? თორემ მოთმინება აღარა მაქვს.

ჟიულ. მოიცადეთ. ტყვიები სულ შემოგვეხარჯა და მარაგი აღარა გვაქვს. ამ ორ-ორი ტყვიით რა უნდა ვქნათ?.. ემილი და პოლ კრუა რუეზე წავიდენ. პონტიესთან, ტყვიებზე...

ეაკ. ერთი კარგი აზრი მომივიდა, ძმებო, თავში.

ზოგიერთნი. რა, რა?

ეაკ. რა და, სულ რამდენიმე წუთის სავალზე, მერიუზე, დილის ბრძოლის დროს, ბევრი ვერსალელი დარჩა მკვდარი, წავალ და დავუცლი სავაზნე ჩანთებს, თორემ სანამ ისინი სენის გაღმიდან ტყვიებს მოგვაშველებენ, ვაი თუ ვერსალელები დაგვეცენ და მაშინ? კენჭებს ხომ ვერ ვესვრით? აბა, წავალი! (აბირებს წასვლას).

ლუიზა. მეც შენთან წამოვალ, ეაკ.

ჟიულ. მოიცათ! აბა რომ მიდიხართ, სად მიდიხართ? იქ ეხლა ცოტა მოშორებით ვერსალელები არიან, შუადღისას დაიკავეს ის მაღლობი. იქვე გაგაგორებენ. ჩვენთვის კი ყოველი მებრძოლი ძვირფასია.

ეაკ. ნუ გეშინია, ტყუილად კი არ მეძახიან ბატინიოლის ტურას, ისე მივცოცდები, რომ ვერც კი შემამჩნევენ.

პიერ. ნამდვილი გამენია ეს მართლაც ტურა. (იცინის).

ლუი. (აკვირდება შორს) ვინ მოდის?! (თოფს იმარჯვებს).

ჟიულ. აბა, თოფები! (ხმა: „გაუმარჯოს კომუნას?").

პიერ. ჩვენია!

ემილ. (შორიდან) არ მესროლოთ თქვენ გიჟებო.

ლუი. ემილია, ემილი!

ემილ. (შემოდის. დუის). შენ, ეი, დამთხვეულო, კინალამ სული გამაპნევიე. (იცინიან).

ჟიულ. პოლ სადაა?

ემილ (ჩამოჯდება კუნძზე). სადა და საიქიოს.

ჟიულ. (თითქმის ბრძანებით) საიქიოს კი არა, რასაც გეკითხები სწორე პასუხი მითხარი!

ემილ. (წამოდგება და ქუდთან მიიტანს ხელს). მე სულ დამავიწყდა რომ უფროსად შენ აგირჩიეთ.

პიერ. და ალბად თქვენს უბანში გეგონა თავი, არა? კოჭებს რომ თამაშობდით ხოლმე!

ემილ. ეგ შენი საქმე არაა! შენ ნუ ხარ დამცინავი!

ლუიზა. ახლა ემილს უკბინე?

პიერ. ოჰო! მიეშველე, მიეშველე!..

ჟიულ. კარგი პიერ, რა ამბავში ხარ. ჰო, მართლა რა იქნა? (ჯაკი მიიმალება).

ემილ. რა იქნა და, ხიდს რომ მივუახლოვდით, ვერსალელებმა სეტყვასავით დაგვიშინეს ტყვია გაღმიდან. იქითა მხარე იმათ ეჭირათ უკვე თურმე და ჩვენ კი არ ვიცოდით. ველარც გაღმა გავედით და, უკან წამოსვლა კი სირცხვილად მივიჩნიეთ.

ჟიულ. მერე? მერე? (სროლის გუგუნი სწყდება).

ემილ. მერე და ისა, რომ ჩვენც ჩავუსაფრდით და დავუშინეთ, ვიდრე ტყვია არ გამოგველია და...

ჟიულ. და?..

ემილ. უკან წამოსვლა ვარჩიეთ ცოცვით, მაგრამ საიდანლაც ყუმბარა დაეცა ჩვენს ახლოს და, იგრიალა. (შეჩერდება), ბოლი რომ გაიფანტა, ვნახე, რომ პოლ უსულოდ ეგდო. (სიჩუმე. მწუხარება) ერთი მაგრა შევუკურთხე არისტოკრატებს და წამოვიკიდე პოლ ზურგზე. დამიშინეს ზურგიდან, მაგრამ რალაცა საბედნიეროდ არ მოეხვდა. დეიდა მარისთან დავასვენე. ის იქვე სდგას, სენის პირას. თითონ შინ არ იყო და ბაბუა ტომასმა აი, რალაც ოციოდე ტყვია ჰქონდა მომცა. (აძლევს).

ჟიულ. აიღეთ ამხანაგებო, გაიყავით. (აძლევს), მაგრამ ეგ რაა? სისხლი გდის თავიდან.

ემილ. არ ვიცი. (ისინჯავს).

ლუი. იქნება დაიჭერ? ჰო, აკი გითხარი, აი!

ჟიულ. აბა შეუხვიეთ, (ლუიზა და შარლოტა უხვევენ).

ემილ. ბიჭოს' ხედავთ იმ გასიებულ ბურჟუებს? დაჭრაც ვერ მომიბერხეს რიგიანად?! მოიცადონ, თუ ერთი ორად არ გადავუხ

!..

ლუიზა. შარლოტა! მოდი აქ ბამბა. (ბაუზა, სროლის გუგუნი სწყდება).

პიერ. სროლა შესწყდა. ცეცხლი უკიდია პარკს.

ჟიულ. ალბად ახალი ჯოჯოხეთური განზრახვა აქვთ ვერსალელ ჯალათებს. (ბარიკადზე ადის და იყურება შორს), ბინდდება, ველარაფერს დავინახავთ. (დროშას ხელს მოჭიდებს და გადასძახებს ამხანაგებს, რომლებიც ბევრნი არიან, მაგრამ არა სჩანან, იქითაც ბარიკადები) ეან! ათი მებრძოლით ზარბაზნებთან მიდი და ჩასაფრდი. (ახლა მეორე მხარეს), შენ, ედმონდ, შვიდი ამხანაგით კედელთან, გორაკზე! დანარჩენები დარჩით ადგილზე. ტყვიებს გაუფთხილდით. ჰაერი შეიბრალეთ და როგორც გულკეთი-

ლები, უხვად მიაგებეთ ჩვენზე სტუმრად მოსულ ვერსალელებს, (სიცილი), ჩვენს ნიშანს ელოდეთ, ჩვენი ბარიკადა რომ გაისვრის,—თქვენც მაშინ დაიწყეთ.

ლუი. უკანასკნელი მსახურიც დაეცა ზარბაზანთან.

ჟიულ. რა ვქნა! ეაკი სადაა, რომ არა სჩანს?

პიერ. ტურას საქმეს რას გაიგებ! ალბად სადმე თუ შეძვრა. (იცინის. სროლა ასტეხდა კანტი-კუნტად შორს და ისევ მარსელიეზა) ეჰე! დაიწყეს? (კვლავ შესწყდა) ისევ შესწყვიტეს. (ისმის ძახილი: „ჰოდ! ჰოდ!")

ჟიულ. ვინაა?

ემილ. ხმა რალაც ნაცნობია! (ეუურება იქით).

ლუი. პატარა ქალია

ჟიულ. აქეთ! აქეთ, დაიკო!

პიერ. ვერსალელების ჯაშუში არ იყოს.

ემილ. ო, არა! არა! პოლის დაა.

როზეტა. გაუმარჯოს კომუნას. (შეშფოთ).

ჟიულ. გაუმარჯოს ახალ ამხანაგს. ოჰო, თქვენ კომუნარის ნიშანი გაქვთ?—მაშ ჩვენი ყოფილხართ.

ემილ. როზეტა! (ხელს ართმევს)

როზეტა. ემილ!.. (უხარია).

ემილ. ეს რა კარგი თოფი გიშოვნია! შენც ბარიკადზე მოხვედი? არ გეშინია?

როზეტა. ჰმ? გუშინ ფანჯრიდან ერთ ბურჟუას ადუღებული წყალი გადმოვასხი და ის ბელატი თავი სრულიად გავუფუფქე, ნაციონალურ გვარდიის ჯარისკაცმა-კი ზეცას გაგზავნა ახალი ამბებით. (იცინიან) გამარჯვებათ დებო! (ხელს ართმევს შარლოტას და ლუიზას).

შარლოტა. ლუიზა. გამარჯვება.

პიერ. აი ერთი ლუკმა კიდევ მოგვემატა ვერსალელების ზარბაზნებისათვის. რა მოგარბენინებდა?

როზეტა. როგორ თუ რა?!

ლუიზა. იმას ყურს ნუ უგდებთ. ვერსალელებმა ხიშტზეც რომ ააგონ სამწვადეთ,—მაინც იხუმრებს, ეგეთია პიერი.

როზეტა. სადაც ჩემი ტოლები, იქაც მე.

პიერ. ჰო, და ნახავ ვერსალელები რა დღეს დაგაყრიან.

როზეტა. ვიდრე ისინი მაგას იზამდენ, ხუთს მაინც გავგზავნი პერლაშეზე. (იცინიან), უნდა ნახოთ ტულიერთან თორმეტი ფედერალების ზარბაზანი რა დღეს აყრის ვერსალელების სამოცსა.

ემილ. მაინც, როგორ მოაღწიე ჩვენამდე, რა იცოდი რომ აქ ვიყავით, მოგკლავენ აქ.

როზეტა. ბრძოლაში ან მომკლავენ ან მოვკლავ. მაშ რა, განა არ ვიცოდი რომ ქორწილში არ მოვდიოდი! ბებრუხანა ჟანეტა ხომ არა ვარ, რომ დღე და ღამე ბუხარს ვუჯდე? ვიცოდი, აქ რომ იქნებოდით, პოლმა მითხრა, მართლა სადაა?

ემილ. პოლი? (დაფიქრდებიან) პოლი...

როზეტა. (ცნობისმოყვარეობით შეხედავს ყველას). როგორ? ნუ თუ?!? (სიჩუმე).

ემილ. ამ ორი საათის წინ, ხიდთან, დეიდა მარისთან დავასვენე.

როზეტა. საყვარელო ძმაო! (დაეშვება და თავს ჩადუნავს მწუხარედ). მამის ამბავი ალარ ისმის, უფროსი ძმა დაიღუპა, დედა ქალთა ბათალიონში იბრძვის, და ვინ იცის იქნებ ეხლა მოკლულია ისიც... ძმაც აქ... (ბაუზა) რალად მინდა თავი ცოცხალი?!

შარლოტა. (თანაგრძნობით) ნუ სწუხარ დაო, დიდება მათ სახელს, ისინი შეეწირენ ჩვენს საყვარელ კომუნას.

ემილ. (გაუბედავად). როზეტა!..

როზეტა. (თამამად ადგება) ძვირფასო დებო და ძმებო, მომეცით ნება, რომ მეც აქ დავრჩე და შური ვიძიო კომუნის მტრებზე. აი თოფი, რომელიც ვერსალელმა მაჩუქა, რომელიც ჩვენს სარდაფში დავმალე, რადგანაც ნაციონალურ გვარდიის ჯარისკაცებს გამოქცეოდა, მოსაკლავად რომ გამოკიდებოდენ და მე კი... შემეცოდა. მაპატიეთ საყვარლებო. მე... მე გულჩვილი გამოვდექი, ვერსალელებივით გულქვანი ხომ არა ვართ?..

პიერ. აი თუ გინდათ ახალი ამბავი! ისინი თუკი არ გვინდობენ და ჩვენს ტყვეებს აწამებენ, ხვრეტენ?!

როზეტა. ნუ ვიქნებით შეუბრალებელნი. აი ბებია ჟანეტა სულ კაცთა სიყვარულზე მასწავლიდა პატარაობიდანვე. ადამიანებს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი. პატრიც ამას მასწავლიდა სკოლაში.

პიერ. ჰო, ეხლა კი ის პატრები ვერსალელებს აქეზებენ ჩვენს წინააღმდეგ! მე ვაჩვენებ იმ გაბერილებს ერთი თუ ხელში ჩამივარდენ!? ათრობენ ვერსალელ ჯარისკაცებს, რომელნიც პრუსიელების ტყვეობიდან დაბრუნდენ და გვისევენ. ისე შენ თუ მოთმინებას გასწავლიდა ბებია ჟანეტა, ჩვენ სამაგიეროდ დელეკლიუზი ბრძოლას გვასწავლიდა.

როზეტა. მერე როგორ მეხვეწებოდა დაჩოქილი, რომ დამეფარა და არ გამეცა. ჯარისკაცია ისიც.

პიერ. დილას გამარჯვებულებს როზიეს ქუჩაზე დაუხვრეტიათ ორმოცდა ორი კაცი, სამი ქალი და ოთხი ბავში. ჩვენ რალად უნდა დავინდოთ? განა ისინი კი გვინდობენ. ჩვენს ტყვეებს ვერსალისკენ რომ მიერეკებიან, გზაში აწამებენ და მერე ისე ხვრეტენ. პერლაშეს სასაფლაოზე რამდენი დახვრიტეს კიდევ. მარკიზ გალიფე განა დაინდობს

ვინმეს?! (ბაუზა), ბიჭოს! ეს ჩვენი ტურა არ არის? რას მოათრევს?

ჟაკ. აჰა, გეყოფათ? (შემოდის ტომრით)

ჟიულ. სად გაიპარე?

ჟაკ. სადა და, აი (ტომრიდან ტყვიებს ალაგებს). მეტი ვერ ვზიდე.

ჟიულ. ლუი. (ერთ დ) ეს ხომ მთელი სიმდიდრეა!!!

ჟაკ. ეს ვილაა? ახალი ამხანაგი? გამარჯვება! (ხელს ართმევს).

როზეტა. გაგიმარჯოს, კომუნარო!

ჟაკ. რალაც ყოჩაღი სჩანს, აი! რა გქვია?

ემილ. პოლის დაა, როზეტა.

ჟაკ. ჰოო ძალიან კარგი! მე და პოლი კარგი ამხანაგები ვიყავით. იმას ბევრჯერ უამბნია შენზე. ძაან ბიჭი კი იყო! ერთხელ მე და იმან ვერსალელებს ცხვირწინიდან ისე მოვპარეთ თოფები, რომ ვერაფერი გაიგეს. ისხდნენ ცეცხლისპირას და ბრეტონულ ღვინოს შეექცეოდენ,— რომელთაც უხვად უმასპინძლდებოდა ბონაპარტელი აფიცერი.

პიერ. ჟაკ! ის რა სროლა იყო წელან? შენ ხომ არ გიმასპინძლდებოდენ?

ლუი. ჩვენ-კი ვსწუხდით მაგ ტურაზე! (იცინიან).

ჟაკ. რა გაცინოთ! ვხედავ მივიკოცავ, „შავი კატას“ სამეკიტნოსთან და დაფენილია მკვდარ ვერსალელებით, დილას რომ დავაწვენინეთ უკან. იქით კი, რამდენიმე ნაბიჯზე მათივე ბანაკია. დარაჯებს ცეცხლი აუნთიათ და თბებიან. ვხედავ ჩანთები სავსე აქვთ მკვდრებს—დავუწყე ამოლაგება, მაგრამ რაში ჩავყარო! აქედანაც დამავიწყდა რომ ტოპრაკი წამელო!—უცებ ბაც!!! ყურთან გამიზუზუნა ტყვიამ. ამოვეფარე მკვდარ ჯარისკაცს და გავნაბე სული. გაიარა რამდენიმე წუთმა და ხელი მივის-მოვისვი—ვხედავ, რომ ცოცხალი ვარ და ტკივილსაც არსადა ვგრძნობ. ავიხედე ცალი თვალით და... დუქნის კართან აყუდებულა ვებერთელა ჯარისკაცი. ვიძრე დამბაჩა და დავუმიზნე, მაგრამ, ვიფიქრე ამითი ჩემ თავს გავცემ და ესენი კი აქ სულს გამაფთხობინებენ-მეთქი. გადავიფიქრე და დავიწყე ტყვიების ჩაყრა უბეში. კიდევ: ბაც!!! აი, ვგონებ ქუდი გამიხვრიტა იმ არამზადამ. (აჩეკნებს).

პიერ. მერე და ვაი თუ ჭამის მადა დაეკარგვინებინა შენთვის! (იცინის).

ჟაკ. ჰო, მერე ცეცხლისპირას მჯდარნიც წამოცვივდენ და დამაყარეს—მეტი გზა არ იყო, უკანუკან გამოვხოხდი და ერთბაშად კი ამ ტომარას წავაწყდი დამტვრეულ ზარბაზნის ორთვალასთან. ამოვეფარე. ცოტა-რომ მიწყნარდა სროლა—წამოვიკიდე ეს და მათ გასაბრაზებლად შემოვძახე მარსელიეზა. რამდენიც მესროლეს—იმდენჯერ შემოვძახე და ასე სირბილით მოვედი აქამდე, მაგრამ, ვაი-მე!

როზეტა. რაა?

ჟაკი. დამბაჩა!!! დამბაჩა იქ დამრჩა. (მიდის).

ჟიულ. სად მიხვალ?

ჟაკ. დამბაჩაზე! მაშ იმათ ხომ არ დაუტოვებ?

პიერ. (იცინის) აი შე ტურავ, ჭენა! ამის მეტი რა გქონდა, რომ ისიც იქ დასტოვე?

ჟიულ. ყოჩაღი კი ხარ ჟაკ, მაგრამ ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანს, ერთხელაც არის წყაროზედ გატყდება—აჰა ჩემი დამბაჩა; მე თოფიც მეყოფა.

ჟაკ. არაფრის გულისთვის არ დავტოვებ, ჩემივე დამბაჩით მევე მესროლონ! არა!!! (გარბის).

ჟიულ. როგორც გინდა.

ლუიზა. ეგ ისეთი ეშმაკია, რომ მაგას ტყვია არ ეკარება. (გაისმის საყვირი).

ჟიულ. საყვირი! (ბარიკადზე ავარდება და დროშას ხელს მოჭიდებს) ეს ვერსალელების ნიშანია, რომ ბრძოლა დაიწყონ. მოემზადეთ, ჩვენ დაუმტკიცოთ მათ, რომ ღირსეულ კომუნარ მშობლებს, ღირსეული შვილები ჰყავს. (სროლა ისმის).

პიერ. ძლივს!

როზეტა. ვფიცავ შენს სულს, პოლ, რომ გადავუხდი შენს მკვლელებს.

ჟაკ. (შემოდის საჩქაროდ, დაჭრილი), დასცხეთ ამხანაგებო. პარიზის მოქალაქეთა შვილებმა ძვირად დაუსვათ მათ ეს.

ჟიულ. ეგ რა არის? დაგჭრეს? ხომ გითხარ ნუ წახვალ მეთქი.

ჟაკ. არაფერია. (დაეშვება ბარიკადასთან). ჩემი დამბაჩა მაინც ვიპოვნე ისევ, სირბილის დროს დამვარდნოდა გზაში.

ჟიულ. აქეთ მოაფარეთ. შეიყვანეთ იქ, დიუვალის სახლში. შეუხვიეთ ჭრილობა.

შარლიტა. ადექი ჟაკ, წავიდეთ (ხელს მოჭიდებს.)

ჟაკ. არა შარლოტა, აქ უნდა დავრჩე, (დამბაჩას უმიზნებს იქით).

შარლოტა. შეგიხვევ ჭრილობას. (უხვევს)

ჟაკ. მაინც ვერაფერს მიშველის სასიკვდილოდ ვარ დაჭრილი.

პიერ. აქეთ მოეფარე შე ოჯახქორო, ვერსალელების ტყვია ხათრს კი არ გაგიწევს; მე ვიცი შენი გვარიშვილობისა შეეშინდება, (შემოიფვანს იქეთ) აი ეხლა შეუხვიე შარლოტა. იმათი გადმოტრიალება-კი მე მოვანდე, (ეწყობა ბარიკადზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუიზა, საკინძი აუხსენით. (უსხნიან და ჯრიჯანს ჭბანენ).

ჟიულ. დომბროვსკის თავი მოუკლავს, დელეკლიუზი რალაც ერთი მუჭა გადარჩენილ კომუნარებით-ღა იბრძვის, ვარლენს, ვიდრე სულ არ გაუნადგურებიათ შარლე-რუას მიდამო ვერსალელების ყუმბარებს—მანამდე არ მიუტოვებია იქაურობა. გუშინ-წინ რომ ვერსალელები შემოვიდენ სენ-კლუს კარიდან, ჯაშუშ დიუკატელის ჩვენებით, უკანიდან უვლიან თურმე კომუნარების მეშვიდე რაზმს. ეხლა აქედანაც მოგვექცნენ სენ-უენის კარიდან შემოჭრილები, რომელიც ერთბაშად, მოულოდნელად გაიღო, არ ვიცით რა მიზეზით.

პიერ. განა ცოტანი დარჩენ ვერსალელების ფინიები პარიზში! რატომ სუყველანი არ ამოვწყვიტეთ? ალბად ერთი მათგანი გაუღებდა.

ლუი. კი მაგრამ, აკი იქ ნაციტრალური ზონაა და პრუსიელთა ჯარები სდგას.

ემილ. ისინიც ჩვენ გვებრძვიან. ხომ ხედავ ვერსალელები გამოუტარებიათ.

როზეტა. გუშინ ბლანშის მოედანზე კაი დღე დააყარა მათ ქალთა ბათალიონმა

ჟაკ. ნუ იგვიანებთ. ისინი ამ ქუჩაზე მოდიან — შეხედეთ უკვე გაწითლდა.

ლუი. გამოჩნდენ! იმათ უყურეთ, როგორ გვეპარებიან.

ჟიულ. ვახალოთ! ერთი!!! (ესვრიან) ჰეთ!!! ეს საუზმე, სადილი და ვახშამი შემდეგ. (ასტუდება ოოგულმხრით სროლა).

შარლოტა. ჩამოდი ჟიულ ძირს, ბარიკადს ამოუფარე, მოგარტყამენ.

ჟიულ. არა! (ისმის ხარხარი ვერსალელების და ხმები:, „ხედავთ ამ ძაღლის ლეკვებს“! „დაგვიცალეთ გზა“, „დაგლეჯთ“, „ერთი ამ თხუნელებს უყურეთ და!“) ორი!!! (ესვრიან) აი ძაღლის ლეკვები!!! სამი!!! (ესვრიან). აი თხუნელები!!! (ისმის სუყვირი). ძვირფასო ძმებო და დებო! ეს საყვირი ნიშანია იმის, რომ ბარიკადზე იერიშს მოიტანენ, ჩვენ მათ დაუმტკიცოთ რომ, ჩვენ, როგორც ლამაზი სიცოცხლე შეგვიძლიან კომუნისთვის, ისე მის სადარაჯოზეც ძალგვიძს ულამაზესი სიკვდილი.

ჟაკ. მომეცა იქით ლუიზა (უსაფრდება და დამბაჩას უმიზნებს).

ჟიულ. სიკვდილი ან გამარჯვება!

ყველა. სიკვდილი ან გამარჯვება.

ჟიულ. ძვირფასო ძმანო!—

პარიზი სისხლმა შეღება.
და სათაყვანო
კომუნას ბოლო ეღება:
ჩვენ, თმა-ქუჩუჩა ბავშვები
რისხვით ვიძახით:
კარდინეს ქუჩას
დავიცავთ ამ ბარიკადით!

ყველა. ვფიცავთ! დავიცავთ! (მდერიან მარსელიოზს. მოისმის საშინელი სროლა, ეიჟანა).

ლუი. ოჰ! (ეცემა. წითლად დამდება).

ჟიულ. აბა მივაყოლოთ. (ასტეხენ განუწყვეტელი სროლას, ოოგულ მხრივ ისმის კვნესა, მუქარა და სხვა), გაუმარჯოს კომუნას!!!

ყველა. გაუმარჯოს!! (ეცემიან როზეტა და პიერ).

ჟიულ. ჩვენი დროშა სისხლმა შეღება, მაგრამ არც თქვენ დაგაყრით ხელს. (ესვრის, მაგრამ ტყვია მოხვდება მასაც და კადმოვარდება ბარიკადიდან ძახილით) გაუმარჯოს კომუნას!

შარლოტა. ჟიულ! ჟიულ!!! (მივარდება ტირილით).

ჟიულ. შარლოტა... ძმებო... (კვდება. ერთი მძლავრი გრიალი მოისმის, ჩამოინგლდება. სროლა სწყდება. ვერსალელების ხარხარი ასტუდება. ჰაუზა. მთვარე ამოდის და ანათებს იქაურობას. ბარიკადი დანგრეულია და მებრძოლი ბავშვია მკვდრები, სხვადასხვა ჰოზაზე. ერთ-ერთ მათგანს დროშა ჩაუხუტებია გულში. შორით, გამარჯვებული სახით დასცინის ბურჟუა, ტიერის სახით).

ფარდა.

(მუსიკა პარტერში დაუკრავს სამგლოვიარო ჰიმნს—თუ ეს არაა—იმღერებენ).

სურათი მეოთხე

1924 წ.

მომქმედნი:

ახალგაზრდა ლენინელები.

ლენინის ლანდი.

პარტერი.

ხმა პარტერიდან (ან და კულისებიდან). ახალგაზრდა ლენინელებო: ეს მოხდა პარიზის კომუნის დაცვის დროს, 1871 წ., 23 მაისს. ასე იბრძოდენ ჩვენი წინაპარი ბავშვები მაშინ თქვენ აქ ნახეთ თუ კარდინეს ქუჩაზე როგორ იცავდენ მაშინ, კომუნას პარიზის მოქალაქე ბავშვები. იმათ უყვარდათ კომუნა და აკი შესწირეს კიდეც თავიანთი ნორჩი სიცოცხლე. მას შემდეგ გავიდა 53 წელი და მათი ხსოვნა ახლაც ელავს ისტორიულ სინამდვილის კაბადონზე.

ამხანაგებო! პარიზის კომუნის ნანგრევებზე აიგო უდიდესი ბასტონი საბჭოთა ფედერაციის კომუნის, რომელზედაც ფრიალებს მშრომელთა სისხლში განბანილი და ალმოდებული წითელი დროშა—შრომის სიმბოლო—ჩაქუჩ-ნამგლის გვირგვინში, ხუთქიმა ვარსკვლავით, — ინტერნაციონალის ჰიმნით ამღერებული, ამაყი ოქტომბრის ძლევამოსილი ქარტეხილით!

ამ ქარტეხილის იალქნები ასწია ძვირფასმა ლენინმა და აფრა-აშლილი დედამიწა გააქანა მზისკენ.

მოკვდა პარიზის კომუნა — გაუმარჯოს საბჭოთა ფედერაციის კომუნას.

პარტერი. გაუმარჯოს!!! (მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. ფარდა აიხდება და გამოჩნდება მაღლობზე წითელი შუქით განათებული, სახე ნათელი ლენინი, რომელიც ხელს იშვერს შორს. მის წინ — აქეთ-იქით — ჩამწკრივებული არიან ახალგაზრდა ლენინელები, უკვალებით და შეჰყურებენ ძვირფას მასწავლებელს, რომლის წინ დაუსრიათ დროშები).

ხმა. ძვირფასი ლენინის ლანდი! რომელსაც ასე ძალიან უყვარდა კომუნის ყვავილები—ბავშვები. იგი მოგვიწოდებს თავის მიმდევრებს—ახალგაზრდა ლენინელებს, რომ შევკრათ რკინის რიგები, შევკავშირდეთ ორგანიზაციულად და კულტურის ჩირაღდანი მაღლა ავსწიოთ, რათა შუქი ვიძიოთ პარიზელ კომუნარ ბავშვების ჯალათებზე.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნას.

პარტერი. გაუმარჯოს!!! (მდერიან ინტერნაციონალს).

ს. ერთაწმინდელი.

წითელ ლაშქარს

ვ იზრდებოდით შავ ჯურღმულში,
გვიგალობდა გლოვის ნანა,
ჩვენ არ გვქონდა არსად ბინა,
მუნჯი იყო ეს ქვეყანა.

ირგვლივ ლამე თარეშობდა,
დასწოლოდა მიწას ნრდილი.
ჩვენთვის ჯილდო იყო მხოლოდ:
კვნესა, ტანჯვა და სიკიდილი.

მაგრამ დაჰკრა ნეტარ-ჟამმა,
გაიფანტა ნისლი, გლოვა.
შვების დილამ განთიადზე
სიხარულით ჩამოთოვა.

დღეს უსაზღვრო ზეიმია.
არავინ გრნობს აქ თავს ობლად,
თქვენ მოვფრინდით გაზაფხულის
ნეტარების მახარობლად.

ჩვენ გიმღერებთ დიდების ჰიმნს,
რომ გაისმას კიდით-კიდე,
თქვენ, რომლებმაც მკრთალ სიცოცხლეს
ცეცხლის ალი წაუკიდეთ.

სალამი თქვენ, რადგან ღამეს
გესლის ხმები ჩაუკმიდეთ.
რადგან ქვეყნად სიტკბოება
ასე უხვად გადმოზიდეთ.

ჩვენც თქვენთან ვართ, ლენინელებს
გვიტაცებს ბრძოლის ძახილი:
რომ დავმარხოთ მუქთა ხორა
გულს ჩავცეთ ისარ-მახვილი.

თქვენთან ერთად ძირს დავამხობთ
ბოროტების სამფლობელოს.
და ავაგებთ სიყვარულის
სიტრფიალო სამლოცველოს.

ვენ მოველით და ფიცს გაძლევთ,
ფიცს ლენინურს, შეურყეველს,
რომ გავსთელავთ ცოდვილ მიწის
ძველ ღმერთების სასუფეველს.

გადავიტანთ სისხლის ზღვაზე
ეძიმე წუთებს მოტივტივეს:
ქვეყნის ყველა მშრომელ კუთხეს
მივცემთ მუშურ კოლექტივებს.

ს. ოდიშელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ!?

იყო და არა იყო რა. იყო ერთი პატარა ბიჭი. დედმამა არ ჰყავდა. ცხოვრობდა მონასტერში — მოხუცებულების თავშესაფარში, პატარა ქალაქის განაპირას. მონასტრის მცხოვრებნი უსიცოცხლო მოხუცნი იყვენ. მათ უყვარდათ მზეზე წყნარად ჯდომა და ძალიან ეჯავრებოდათ, როცა პატარა ბიჭი—პავლე თამაშობის დროს ხმაურობდა, ან უცაბედად რომელიმე სათამაშოს მოახვედრებდა მათ.

გატანჯული იყო პატარა პავლე! მას არასოდეს არ გაეგონა ტკბილი სიტყვა. არავინ მოეფერებოდა, არავინ მოეხმარებოდა, როცა თამაშობით გართული იტკენდა რამეს. სამაგიეროდ მუდამდღე ცემა-ტყეპით და გინებით აჯილდოებდენ. ბავში ყველაზე უფრო მეტად თავშესაფარის ზედამხედველს ეჯავრებოდა. პატარა პავლეს უყვარდა, როდესაც კი ექნებოდა შემთხვევა, ეკითხა: „რატომ?“. მას უნდოდა ცოდნოდა ყველა იმ მოვლენების მიზეზი, რომლებსაც თვალით ხედავდა

— არ შეიძლება ყოველთვის ყველაფერზე კითხვების მოცემა,!—გამოუცხადა ბრაზიანმა, მსხვილმა დიაკვნის ცოლმა, თავშესაფარის გამგემ.—ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც უნდა იყოს და ამით უნდა დაკმაყოფილდე!

— რატომ არა მყავს მე მშობლები, როგორც სხვა ბავშებს?—დაეინებით განაგრძობს გამოკითხვას პატარა პავლე.

— იმიტომ, რომ ისინი მოკვდენ.

— რატომ მოკვდენ ისინი?

— იმიტომ, რომ ღმერთმა ასე ინება.

— რატომ ინება ღმერთმა ასე?

— გაჩუმდი, შე უმსგავსო! დამანებე თავი! მსხვილი ქალი სიბრაზისაგან გაწითლდა.

— რატომ ხარ ასეთი ბოროტი?—ჰკითხა პავლემ, როცა დიაკვნის ცოლის ბრაზიანი სახე დაინახა. პასუხის ნიშნად პატარა პავლე სილის გაკვრით დააჯილდოეს. ატირებული ბავში გარბოდა და თან იძახდა:

— რატომ მცემ, რატომ?

ის საქათმისკენ გაიქცა. ჭიშკარში შეხვდა დიდი ჭრელი დედალი, რომელიც თავმომწონედ კაკანებდა: „მე დავდევი კვერცხი, მე დავდევი კვერცხი!“ საქათმეს ყოველ კუთხიდან გაისმოდა: „მეც დავდევი კვერცხი, მეც დავდევი კვერცხი“. მამალს გული მოუვიდა, და ზიზღით დაიყვირა: „სამაგიეროთ მე მამალი ვარ, და თქვენ კი დედლები“-ო.

მოსამსახურემ—პატარა მარომ, ფრთხილად მოაგროვა კვერცხები თავის ლურჯ წინსაფარში და ოთახში შეიტანა.

სად წაიღო მარომ ის კვერცხები?—ჰკითხა პატარა პავლემ ჭრელ დედალს.

ის წაიღებს კვერცხებს ქალაქში.—პასუხის ნიშნად კაკანებდა დედალი.

— მერე ვინ შეჭამს იმ კვერცხებს?

— მდიდარი ხალხი! მდიდარი ხალხი!—დაიკაკანა დედალმა ისეთი სიამაყით, თითქოს ამით მას პატივი ემატებოდა.

— რატომ მეც არ მაჭმევენ კვერცხს.—საცოდავად შეეკითხა პავლე.—მე ხომ ყოველთვის მშია.

— იმიტომ, რომ შენ ღატაკი ხარ.

დედალმა ბავშს ამაყად და ზიზღით გადახედა.

— მერე რატომ ვარ მე ასეთი ღატაკი?

აქ დედალი ისე გაჯავრდა, როგორც დიაკვნის მსხვილი ცოლი და ბრაზიანად დაიკაკანა:

— წადი, წადი იქით! თავი მომაწყინე შენ ამდენი კითხვებით!

საბრალო პავლე მიდიოდა ღრმად ჩაფიქრებული, თვითონაც არ იცოდა საით. სრულიად უმიზნოდ გავიდა ქუჩაში და დაადგა გზას. გაიარა თუ არა ქუჩა, პავლემ დაინახა ერთი მდიდარი გლეხის ბოსელი. ბევრი და მშვენიერი ძროხა იყო იქ, და დიდრონი

კეთილი თვალებით უცქეროდენ პატარა პავლეს. ყმაწვილს საშინლად მოშივდა, ამიტომ მიუახლოვდა ერთ ძროხას, რომელიც ყველაზე უფრო გულკეთილი ეგონა, და შეემუდარა მას:

— ჩემო ძროხავ, დამალევიე ცოტა რძე!

— ეს არ შეიძლება! — უპასუხა ძროხამ. — ჩემი რძე ეკუთვნის ბატონს!

პატარა პავლემ განცვიფრებით შეხედა ძროხას, გაღაავლო თვალი მთელ ბოსელს და დაიწყო ჩუმად თვლა: — ერთი, ორი, სამი... როდესაც მივიდა მეთორმეტეზე, შეჩერდა, ძროხები ჯერ კიდევ ბევრი იყო, ანგარიშმა დაღალა.

— თორმეტი ძროხა! — გაიფიქრა პავლემ. — ნუ თუ შეუძლია მათ პატრონს თორმეტი ძროხის რძის დალევა?

— არა! — მეგობრულად გაუსწორა ძროხამ, — ის ყიდის ხოლმე რძეს ქალაქში.

მოაგონდა ჭრელი დედლის ნათქვამი და ჩუმად შეეკითხა:

— ღარიბი ბავშები სვამენ ამ რძეს?

— უი, შე საწყალო! — ამოიხვნეშა ძროხამ — როგორი სულელი და გამოუცდელი ხარ! ამ რძიდან აკეთებენ მშვენიერ ნაღებს, რომლისგანაც აცხობენ ტორტებს და ნამცხვრებს, რომლებსაც ყიდულობენ მხოლოდ და მხოლოდ მდიდრები.

— რატომ ღარიბები არ ყიდულობენ? განა მათ არ უყვართ, ან და არ უნდათ შეჭამონ ტკბილეულები?

— შენ არ უნდა მომცე ასეთი კითხვები, პატარა ბიჭო! — უპასუხა ძროხამ. — მე ერთი სულელი ძროხა ვარ და არ ვიცი, რა გიპასუხო! გირჩევნია აქაურობას მოშორდე, თორემ მალე მოვა ჩვენი პატრონი და თუ დაგინახა, შეიძლება გცემოს კიდეც.

პავლემ ალერსის ნიშნად ხელი გადაუსვა ძროხას და გზა განაგრძო. ახლაც არ იცოდა მან, საით მიდიოდა; სრულიად შეუმჩნევლად თავი ამოჰყო დიდ, თვალუწვდენელ აბიბინებულ ჯეჯილში. აქ არხეინად დასეირნობდა ქარი და ნელ-ნელა მოძრაობდენ ოქროსფერი ტალღები. ნაზი, ნაღვლიანი ხმით მღეროდენ ჯეჯილის თავთავები და პავლეს შეეძლო გაერჩია მხოლოდ ასეთი სიტყვები: „მალე მოვლენ მუშები ნამგლებით, ზ-ზ ზ! მოგვმკიან ჩვენ, ზ ზ-ზ! მერე ადამიანები გამოაცხობენ ჩვენგან თეთრ პურს, ზ-ზ-ზ!, თეთრ პურს, ზ-ზ-ზ!“

— მერე ამ თეთრ პურს ვინ შეჭამს! — ჰკითხა პატარა პავლემ, რომელსაც არასოდეს არ ეჭამა თეთრი პური.

— მდიდარი ხალხი! მდიდარი ხალხი! — მღეროდენ თავთავები პასუხად და შეთანხმებულად ქანაობდენ.

— ისევ მდიდარი ხალხი! — ჩურჩულებდა პავლე — განა ქვეყანაზე მარტო მდიდრების არის ყველაფერი?

— ყველაფერი, ყველაფერი! — უპასუხებდენ თავთავები.

— რატომ?..

ამ კითხვამ ისინი ძალიან გააცინა. თავთავები იღუნებოდენ სიცილისგან და მღეროდენ:

— რა სულელი ხარ! რა სულელი ხარ!..

ბავშს არავითარი პასუხი არ მისცეს მის შეკითხვაზე. — პავლეს ცრემლები მოადგა თვალებზე და ფეხების ბაკუნით დაიყვირა:

— მე პასუხი მინდა ჩემს კითხვაზე! განა არავის არ შეუძლია მიპასუხოს?

ამ დროს გამოძვრა ზღარბი და უთხრა:

— ყველაზე უფრო ბრძენი არსება, რომელსაც მე ვიცნობ, ეს მოხუცი ბუ არის; ის ცხოვრობს ტყეში, დიდ მუხაზე; მიმართე მას შენი კითხვებით.

— შენ კი რატომ არ შეგიძლია მიპასუხო?

მე არავითარი საქმე არა მაქვს ადამიანებთან! — ისინი საკმაოდ სულელები არიან. მიდი ბუსთან, მაგრამ იცოდე, არ გააგულისო, თორემ თვალებს ამოგიკორტნის. — მკვახედ უპასუხა ზღარბმა.

საღამო ახლოვდებოდა. მან უკვე დაგზავნა მზვერავები: დიდრონი, შავი ლანდები, რომლებიც თავისი სიბნელით ფარავდენ არე-მარეს. ტყეშიაც დაბნელდა... პატარა პავლე შეშინდა, თუმცა ეს ტყე იმდენად საშინელი არ იყო, როგორც საზიზღარი მისი თავშესაფარი და ამიტომ განაგრძო ხეტიალი.

ტყე სიბნელით გარე მოცული, უფრო და უფრო ხშირი ხდებოდა. აქ ყველაფერი მშვენიერი იყო! ხშირი ხეების შუა ძლივს იკლაკნებოდა ვიწრო გზა. პავლე მიდიოდა მწვანე ტყის ხავერდის ხალიჩაზე. დიდი ხეების ძირში თავს იწონებდა გემრიელი, სურნელოვანი მარწყვი. პატარა ბიჭი ჰკრეფდა მას და ამნაირად იკლავდა უკვე აუტანელ შიმშილს, ბოლოს ის მივიდა დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხასთან, ერთ ტოტზე დაინახა ბუ, რომელსაც ცხვირზე დიდი სათვალეები ჰქონდა გაკეთებული. ბრჭყალებში კი მწვანე ფოთოლი ეჭირა და დიდის ყურადღებით ათვალიერებდა. პავლე შეჩერდა ვეებერთელა მუხის ძირას და მიმართა ბუს:

— ქალბატონო ბუ, ქალბატონო ბუ!

ბუ იმდენად იყო გართული თავის საქმეში, რომ ვერ გაიგონა პავლეს შეკითხვა, და მხოლოდ მაშინ, როდესაც რამდენჯერმე ხმა მაღლა დაუძახა, ბუმ დიდრონი ბოროტი თვალებით გადმოხედა.

— რა გინდა?—ჰკითხა ბუმ—როგორ ბედავ და ხელს მიშლი ჩემს საქმეში?

— მაპატიე, ქალბატონო ბუ! — შეეხვეწა პავლე —მე გამომგზავნა შენთან ზღარბმა. მითხრა, რომ შენ ყველაზე უფრო ჭკვიანი ხარ და ამიტომ შეგიძლია მიპასუხო ყველა ჩემს კითხვებზე...

— რა საქმე მაქვს მე ზღარბთან! რა საჭიროა შენი კითხვები!?—უპასუხა ბუტბუტით ბუმ. — განა ასეთი სულელი ბავშისთვის უნდა დავკარგო ძვირფასი დრო? ხომ იცი, რომ მე მხოლოდ ღამ-ღამობით ვიცქირები ზაფხულის ღამეები კი ისეთი მოკლე არის, რომ ძლივსღა მყოფნის დრო ჩემი მეცნიერებისათვის. მეც ვფიქრობ ბევრ საკითხებზე!.. ბევრი, ბევრი წელიწადია, რაც ერთი კითხვა ყველაზე უფრო მტანჯავს!.. უკვე დავბერდი და გავთეთრდი, მაგრამ ვერცერთმა მეცნიერებამ ვერ გამომირკვია ის!..— ბუმ ღრმად ამოიხვნეშა და დაღონდა.

— მერე რა კითხვაა ის?— გაიტაცა ცნობისმოყვარეობამ პავლე.

— მერე განა შენ, ბალღო, ფიქრობ მიპასუხო ჩემს კითხვაზე?—ჰკითხა ბუმ — ის კითხვა შეიცავს ქვეყნის ყველა კითხვებს. იმ კითხვის შინაარსი შემდეგია:

რატომ არიან ადამიანები ასეთი სულელები?

— განა ადამიანები მართლა ასეთი სულელები არიან?? — ჰკითხა გაკვირვებულმა პავლემ.

— რა საკვირვირველია! და თუ შენ ესეც არ იცი, ხელს რაღას მიშლი! განა ვერ ხედავ, თვითონ შენ რამდენად სულელი ხარ?

— არ ვიცი!—უპასუხა პატარა პავლემ. — შენ უნდა იცოდე, ქალბატონო ბუ, რომ მე ვცხოვრობ ერთ სახლში, სადაც მარტო მოხუცებულები არიან; ეჭვი არ არის, რომ ისინი ჭკვიანები არიან.

— გუ-გუ-გუ!—გაიცინა ბუმ. შესაზარავად გაისმა ეს სიცილი დაბნელებულ ტყეში. გუ-გუ-გუ! შენ ერთხელ კიდევ მიმოწმებ ადამიანის სისულელეს! ნუ თუ შენ დარწმუნებული ხარ, რომ თქვენ თავშესაფარში ყველანი ჭკვიანებია? აბა, ვნახოთ, რამდენად მართალი ხარ! ყველაზე უფრო ვინ გიყვარს თავშესაფარში?

— მარიამი!

— ვინაა მარიამი?

— თავშესაფარის მოსამსახურე.

— რას აკეთებს ის?

— ის მთელი დღე მუშაობს. დგება დილით 5 საათზე და ყველაზე გვიან კი წვება.

მაშასადამე, ის ბევრ ფულს იღებს, მშვენიერი კაბები ექნება და ალბად კარგადაც საზრდოობს?

— არა, ის ძალიან ღარიბია, კაბები ყველა დახეული და დაკერებული აქვს. სჭამს ნასუფრალს, რაც სხვას მორჩება...

— ჰმ! მაშ რატომ მუშაობს ის ამდენს, თუ არაფერი არა აქვს?!.

პატარა პავლე ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

— არ ვიცი!..

— მე კი ვიცი! იმიტომ რომ სულელია! მარიამმაც კარგად იცის, რომ არიან ქალბატონები, რომლებიც თითსაც არ ანძრევენ, მაგრამ აქვთ მშვენიერი კაბები, გემრიელი საჭმელი და ცხოვრობენ უდარდელად. მერე მარიამმა არასოდეს არ ჰკითხა თავის თავს: „რატომ მოხდა ეს, რომ, თუმცა მთელი დღე ვმუშაობ, არაფერი მაქვს, იმათ კი, რომლებიც არაფერს აკეთებენ — ყველაფერი აქვთ“-ო?

— მაშასადამე შენი მარიამი სულელია!! კიდევ ვინ გგონია ჭკვიანი შენს ხახლში, პატარა ცხვარო?

— მოხუცი იაკობი.

— ვინ არის ეს მოხუცი იაკობი?

— დღიური მუშაა. ის უკვე 80 წლისაა. მუშაობდა სამოცდაათ წლამდე, ეხლა კი მუშაობის უნარს მოკლებულია, რადგან ხელფეხი დახუთული აქვს.

— სამოცი წელიწადი იმუშავა სხვისთვის. დიდხანს უმუშავნია! ალბად იაკობს უვლიან ისე, როგორც ეკადრება დიდ თავადს; ყველა ცდილობს რამენაირად ასიამოვნოს მას... აქვს, ალბად, მშვენიერი რბილი

ლოგინი, სადაც შეუძლია თავისი დაქანცული ძვლები მოასვენოს. ალბად, მას აქვს კარგი საჭმელი და ცხოვრობს მხიარულად და უდარდელად?

— არა, არა! დიაკვნის ცოლი ყოველთვის ილანძღება, როდესაც მოხუცი იაკობი უსაყვედურებს, რატომ რბილი პური არ გამომიცხვე, გამხმარი პური როგორ დავლეჭოო. როცა მოსთხოვს თუთუნს, გული მოსდის, უყვირის: „უვარგისო მოხუცებულო, თავხედო ბებრუცუნა“-ო

— მაშ რისთვის მუშაობდა შენი იაკობი სამოც წელიწადს, თუ სიბერის დღეს უკეთესად არ შეუძლია იცხოვროს?

— არ ვიცი!

— იმიტომ, რომ სულელია! მან როგორც მარიამმა, კარგად იცის რომ არსებობენ ახალგაზრდა ბატონები, რომლებიც არაფერს არ აკეთებენ და მეფეებივით ცხოვრობენ. ახლა ხომ ხედავ. ბალღო, როგორი სულელები არიან ადამიანები?

კი!—უპასუხა დალონებულმა პავლემ.— ნება მომეცი შეგეკითხო, ჩემო კეთილო ბუ! რატომ არიან ქვეყნად მდიდრები?

— ჩვენი საუბრის შემდეგ, შენ თვითონ უნდა მოძებნო მაგ კითხვის პასუხი ბრიყვო! ქვეყანაზე ბევრი მდიდარი იმიტომაა, რომ ღარიბები სულელები არიან!

— მერე რატომ არიან ისინი სულელები?

ამაზე ბუ გაბრაზდა სწორედ ისე, როგორც მსხვილი დიაკვნის ცოლი და ჭრელი დედალი.

— განა მე შენ არ გითხარი, ჩერჩეტო, სულელო პატარა კაცო?.. მე ხომ გითხარი, რომ მაგ კითხვაზე მე თვითონ ბევრი, ბევრი წელიწადია ვფიქრობ! მოდი ოთხმოცი წლის შემდეგ და მაშინ შეიძლება მოგცე პასუხი...

— მაგრამ რატომ?..

— გაჩუმდი!—მრისხანედ უბრძანა ბუმ პატარა პავლეს.—შენ ისედაც ბევრი ძვირფასი დრო დამაკარგვინე. წაეთრიე გუგულთან!

— სად ცხოვრობს გუგული?—ჰკითხა შეშინებულმა პატარა ბიჭმა.

ბუმ პასუხი არ გასცა; მან კვლავ ჩამოიცვა ცხვირზე სათვალეები და ჩააშტერდა თავის მწვანე ფოთოლს.

— როგორი საცოდავი ვარ!—იფიქრა დალონებულმა პატარა პავლემ.—ახლა გულ-გული უნდა მოვნახო და არც კი ვიცი, სად ცხოვრობს ის! ნუთუ გუგულს მეტი ეცოდინება ვიდრე ბუს? მე კი ისე დავიღალე, ისე მტკივა ფეხები!!!

ის წამოწვა რბილ მწვანე ბალახზე, ახალგაზრდა არყის ქვეშ და მიეცა მწარე ფიქრებს. ფიქრობდა პატარა, როგორ ცუდად ეპყრობოდენ მას, როგორ მიატოვა ყველამ და ტირილი დაიწყო. ამ დროს მაღლიდან წვრილი ხმა შემოესმა, რომელიც პატარა ზარის წკარუნს ჰგავდა.

— რატომ სტირი ასე მწარედ, პატარა ბიჭო?—შეეკითხა წკრიალა, ნაზი ხმა.

პავლემ აიხედა ზევით და ხის წვეროზე დაინახა საოცარი ქმნილება, რომლის მსგავსი მის სიცოცხლეში არ ენახა.

არყის შტოზე იჯდა მშვენიერი ქალიშვილი, მას ჰქონდა გრძელი ოქროსფერი თმა. მ-სი მკრთალი სახე მთვარის სინათლეს მოგაგონებდათ, დიდრონი თვალები მწვანე ჰქონდა, როგორც არყის ფოთლები. ის წყნარად დაეშვა ხიდან და პავლეს გვერდით გაჩერდა. პატარა ბიჭს მოეჩვენა, თითქოს მას ნაზი ფოთოლი შეეხო; მშვენიერი ქალიშვილი თეთრი ხელებით ეალერსებოდა.

პავლე სრულიად დამშვიდდა, ცრემლები თვალებზე შეუშრა და გაკვირვებით მიმართა პატარა ქმნილებას:

— ვინ ხარ შენ?

— მე დრიადა ვარ, ამ ხის სული.—უპასუხა პატარა ქმნილებამ.—მთელი დღე მე ხეში ვზივარ. როგორც-კი მოახლოვდება ღამე,—თავისუფალი ვარ. ჩამოვდივარ მიწაზე და ჩემს პატარა დებს—სხვა დრიადებს ვეთამაშები მაგრამ მიამბე, რატომ ხარ ასე დალონებული?

პავლემ შესჩივლა დრიადას თავის მწარე ბედზე, და თავისი მოთხრობა შემდეგი სიტყვებით გაათავა: „მე ყოველთვის უნდა ვიკითხო: რატომაა ეს ასე?“ ეს კითხვა გულს მიწვავს, სულს მიშფოთებს და ვფიქრობ, თუ ოდესმე მივიღე პასუხი—ეს ტანჯვა შემისუმბუქდება!..

დიახ! ეს კითხვა მე მტანჯავს, ადამიანები კი ამისთვის მდევნიან და მე სრულიად მარტოდ-მარტო ვარ!..

დრიადამ წყნარად გაიღიმა. მისი პატარა სახე უფრო მიმზიდველი და ლამაზი შეიქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ სცდები, პატარა ბიჭო! —უთხრა მან ალერსით—შენ არა ხარ მარტოხელი! ასი და ათასი ხალხი მუდამ იტანჯება ამ ნაირივე კითხვებით!.. აბა მიადევი მიწას ყური და მითხარი, რა გესმის იქიდან?

პავლემ დაუჯერა დრიადს და ყური მიწას დაადვა. მართლაც, ჯერ რაღაც გაურკვეველი ხმაურობა და მერე ზარის რეკაც შემოესმა. ცოტა ხანს შემდეგ აშკარად გაიგონა მწარე ქვითინი, ჩივილი და ბოლოს ასეთი სიტყვები:

დედა! მშია! რატომ არა გვაქვს საჭმელი? —საცოდავად კითხულობდა ბავშის ხმა.

— მე ვიხრჩობი ამ დახაშმულ ქალაქში! რატომ არ შემიძლია წავიდე აგარაკზე დასასვენებლად ისე, როგორც ჩემი მდიდარი ამხანაგები? —ბუტბუტებდა პატარა ბავშის ხმა.

— მე ვმუშაობ მთელი დღე და რატომ ვლებულობ იმდენად მცირე ქირას, რომ ძლივს-ღა მყოფნის საარსებოდ? —კვნესოდა ვიღაც ქალის ხმა.

— რატომ აქვთ მუქთახორებს ყველაფერი, მუშებს კი არაფერი? —მკაცრად წარმოსთქვა მამა-კაცის ხმამ.

შემდეგ ყველა ხმები ალაპარაკდა, აკვნესდა, ატირდა: —რატომ?! რატომ?!

პავლე წამოდგა ფეხზე; შეხედა პატარა დრიადას და ჰკითხა:

— ვინ არიან ისინი, იქ რომ ლაპარაკობენ?

— ისინი შენი ძმები არიან.—უპასუხა პატარა დრიადამ.—ის შენი ახლობელი ოჯახია, დიდი, უზარმაზარი ოჯახი!.. ყველა ლაპარაკობდა სხვადასხვა ენაზე, მაგრამ შენ ყველას მიუხვდი, როდესაც გაიზრდები და დაინახავ ქვეყანას, შენ ყოველი მხრიდან გაიგონებ იმავე კითხვებს—„რატომ?“ ამ კითხვას წარმოსთქვამენ ნალვლიანად, შიშით, დამალული ტკივილით სიბრაზით! . ამ გუნდს ყოველ დღე ემატება სულ ახალ-ახალი ხმები, როდესაც ისინი გაიზრდებიან ბევრ მილიონამდე—მაშინ მოიძებნება პასუხი ამ კითხვაზე—და აღარ იქნება არც ტანჯვა და სიღარიბე, არც უდარდელი, უსაქმო ცხოვრება.

— როდის იქნება ეს?—აჩქარებით ჰკითხა ბიჭმა.

— არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ყოველთვის, როცა კი დავაყურებ მიწას, სულ ახალი და ახალი ხმები მესმის, ვიცი, რომ ეს დიადი დღე ახლოვდება.

— არ შეიძლება მოვაწყოთ ისე, რომ დავაჩქაროთ ამ დღის მოახლოება?

— შეიძლება! ქვეყანაზე ბევრი, ბევრი ხალხია, რომლებსაც აზრადაც არ მოუვათ თუ რა ტანჯვაში ცხოვრობენ და ამავე დროს არიან ისეთები, რომლებიც ფუფუნებაში ატარებენ ცხოვრებას. ისინი შრომობენ, როგორც ცხოველები და არც კითხულობენ, თუ რატომ იღებენ ისე ცოტა ქირას. ამ საბრალო ხალხმა უნდა ნახოს სიმართლე. მაგრამ ეს ძნელი საქმეა. ღარიბები იმდენად იღლებიან შრომისგან, რომ ძლივს ღა აზოოვნებენ, ხოლო რაც შეეხება მდიდრებს—ისინი ცდილობენ, ყოველგვარ ზომებს მიმართონ, რომ ასეთი კითხვები ღარიბებს არ დაებადოსთ და სდევნიან ყველას, ვინც კი იკითხავს: „რატომ?“ შენ ხომ უკვე გამოსცადე ეს, პატარა პავლე?

— მე ხომ კვლავაც უნდა დავსვა ეს კითხვა!

— რასაკვირველია, მაგრამ, იცოდე, ამ კითხვით მდიდრებს არ მიმართო. ისინი არ გიპასუხებენ, რადგან ამ შემთხვევაში უნდა თქვან:—ქვეყანა აუტანელია ღარიბებისთვის იმიტომ, რომ ჩვენ, მდიდრები გაუმაძღარი მხეცები ვართ, ვზრუნავთ მხოლოდ ჩვენს კეთილდღეობაზე—ამას კი არავინ იტყვის თავის თავზე. წადი ღარიბებთან და ჰკითხე მათ:—რატომ ჭამთ გამხმარ პურს, როცა ხედავთ, რომ ზარმაცი მდიდარი ხაჭაპურს მიირთმევს. რატომ არიან თქვენი ბავშები ყვითლები, გამხდრები, ავადმყოფნი. მდიდრების შვილები კი ჯანსაღი, ლოყაწითლები, მსუქნები? სიბერის დღეს, დიდი ხნის შრომის შემდეგ, თქვენ ულუკმაპუროდ რად გიხდებათ ხეტიალი, თავშესაფარის ძებნა, როცა მდიდარი მოხუცნი განაგრძნობენ უქმად ცხოვრებას და უზრუნველყოფილნი არიან? აი, ყველა ამის შესახებ შეეკითხე ღარიბებს და ხშირად გაუმეორე ეს კითხვები, რომ მათ კარგად შეიგნონ, რომ მათში ჩაინერგოს თავისუფლების წყურვილი, რომ ამ შეგნებამ მეხი დასცეს და გაანადგუროს ამდენი უსამართლობა!.. აძლიე მათ ეს კითხვები მანამ, სანამ მათში დაიბადება ყველა ამ უკუღმართობის მოსპობის სურვილი და ძალღონე!.. გინდა თუ არა, პატარა პავლე, ამ საქმეს ხელი მოჰკიდო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მინდა,—უპასუხა ბიჭმა და თვალები საოცრად გაუბრწყინდა.

— შენი ცხოვრება მწარე იქნება, ჩემო ბიჭო! მდიდრები ცარცვა გლეჯაზე ხელს არ აიღებენ; ისინი ეცდებიან დაიცვან ნაქურდალი; აგიმხედრდებიან, გაწვალებენ, ეცდებიან ჩაგიკლან გულში ეს კითხვა!.. როცა გაიზრდები,ჩაგაგდებენ ვიწრო, ბნელ, ყრუ ციხეში, რომ არავინ გაიგონოს შენი ხმა!.. მაგრამ შენ არ უნდა დაჰკარგო მამაცობა! გახსოვდეს, რომ ეს კითხვა შენთან ერთად დაიბადა! შენ უნდა გაუმეორო ის ბევრ ათასეულ ყრუ და მუნჯს ხალხს... შენ გეყოლება მეგობრები, ამხანაგები, მარტო არ იქნები.

პატარა დრიადამ დაუკრა თავი პავლეს, აფრინდა ზევით და ჩამოჯდა არყის ტოტზე.

— უკვე მიდიხარ?—წყენით შესძახა პავლემ.

— შენ უნდა დაბრუნდე თავშესაფარში, ჩემო კარგო! შეგიძლია კვლავაც მოხვიდე ჩემთან. მე ყოველთვის მოგეხმარები, ვეცდები გზაც გიჩვენო და გაჭირვების დროს ნუგეში არ მოგაკლო?...

— ცოტა კიდევ დაიცადე!—შეევედრა პავლე—ბუმ მითხრა, შენ კითხვაზე მხოლოდ ოთხმოცი წლის შემდეგ შემიძლია პასუხი მოგცეო, მაგრამ ოთხმოცი წელიწადი დიდი ვადაა! ნუ თუ ბუ მართალს ამბობდა?

— ეს ხალხის სურვილზეა დამოკიდებული. სურვილზე, რაც შეიძლება მალე განთავისუფლდენ.—გაისმა ნაზი ხმა პატარა დრიადასი. — შეიძლება თქვენ ოთხმოცი წლის განმავლობაშიც არ დაჭკვიანდეთ, არ შეიგნოთ სიმართლე! მაგრამ თუ შენ და შენი ამხანაგები არ შეწყვეტთ მაგ კითხვაზე პასუხის ძებნას, მაშინ შეიძლება ოთხმოცდაათი წლის შემდეგაც მოძებნოთ ის. მაგრამ თავისუფლების დიადი დღე შეიძლება ოცი წლის შემდეგ დადგეს, მოსალოდნელია ათი წლის შემდეგაც და კიდევ მეტს გეტყვი—იქნება ხვალაც დადგეს!!

პატარა დრიადა გაქრა არყის ფოთლებში.

პავლეს უკანასკნელად შემოესმა ხის წვეროებიდან წკრიალა, მხიარული ხმა:

— ხვალ! ხვალ! ხვალ!..

მ. დონდუა.



ახალგაზრდა ლენინელების სიმღერა.

ვენ ვართ პატარა ლენინელები,
მოვალთ სიმღერით, ცეკვით, დაირით,
მოფრინავს დროშა ცეცხლის ენებით,
მოაქვს ცხოვრება სულ სხვანაირი.
ჩვენ აღარ ვიცით ცრემლი და შიში,
რადგან მუშებმა გვასწავლეს ასე;
წითელ აკვანში სხვა სახით ვიშვით,
გული გვაქვს ბრძოლის ხალისით სავსე.
ეს საუკუნე მოზნიქა ომმა,
აზვირთდა ხალხის ენება უხეში,
ჯერ ნორჩები ვართ... მაგრამ დრო მოვა
ჩვენც იარაღებს ავიღებთ ხელში.
უშიშრად ვივლით თოვლში, წვიმაში,
მტრების მუქარა ვერ შეგვაშინებს.
წავდგებით ნათლად ქვეყნის წინაშე.
გადავეხვევით მაშვრალთა შვილებს.
ჩვენთან რიგებში არიან ერთად
ქართველი, ოსი, სომეხი, რუსი,
დიახ, მით შევძლებთ ბრძოლის გაბედვას
რომ ძველ ცხოვრებას ხაზი გაუსვათ.
ახალ ბრძოლისთვის ვიწყებთ მზადებას,
იტიროს კიდევ მრავალმა წელმა.
ძმური კავშირი და თავდადება
მას გვიკარნახებს **ლენინის** რწმენა.
დე, გაძლიერდეს გუგუნი მტვრევის,
დეე, დაბრუნდეს ჟამი ჩვენს ირგვლივ,
ვერ შეგვაშინებს მუქარა მტრების,
კომუნის დროშით წინ მედგრათ მივქრით.
და ერთად შევალთ იმ სამეფოში,
და ერთად ავალთ იმ ქვეყანაზე,
სადაც დროს მოვრთავთ სიმართლის დროშით.
მოფრინავს დროშა წითელ ენებით,
მოაქვს ცხოვრება სულ სხვინაირი.
დე, გაძლიერდეს გუგუნი მტვრევის.
დეე, დაბნელდეს ჟამი ჩვენს ირგვლივ,
ვერ შეგვაშინებს მუქარა მტრების,
კომუნის დროშით წინ, მედგრად მივქრით.

ა. მაშაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ნახშირი

ხვალ აუცილებლად გავუშვებთ,—ჯამოაცხადა სადგურის უფროსმა და ეს სასიხარულო ამბავი პირიდან პირზე, სოფლიდან სოფელზე გადადიოდა და ელვის სისწრაფით მოედო მთელ მხარეს.

— ხვალ აუცილებლად გამოუშვებენ!

— დღეს აუცილებლად მოვა! — ასე უახალამბობდენ ერთი-მეორეს შორს და ახლო მდებარე სოფლის გლეხები. ამ ამბავმა მიაღწია იმ სოფლამდიც, რომელიც იმდენად დაშორებული იყო ქალაქზე, რომ ძის მოსახლეობის ორი მესამედის წარმოდგენით ქალაქის ცხოვრება და კულტურული



მინაღწევები ზღაპრული ამბავი იყო. მაგრამ დღეს ეს წარმოდგენა, სულ თუ არა, ნახევრად მაინც უნდა გაქარწყლებულიყო.

მავთულს გადაელახა მინდორ-ველი, მდინარე-ღელეები და შემოჭრილიყო სოფელში, სადაც ჯანასკნელი სვეტიდან ის ორად ტოტდებოდა და სკოლასა და სათემო კომიტეტისაკენ ლარივით მიეშურებოდა.

სათემო კომიტეტთან მცხოვრებთ თავი მოეყარათ და ბაასობდენ საუცხოვო ენერგიაზე, რომელიც შორიდან უნდა მოვიდეს და სინათლე მოიტანოს.

სკოლის ეზოში კორინტელი ტრიალებს. ბავშვები ადრიან შეგროვილან, რომ სინათლეს ყველამ ერთად მიესალმოს. დიდები ჯგუფებად დაყოფილან და კამათობენ, პატარები ყარამალას გადადიან.

სამი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც კლდე-ღრეებში დიდი მუშაობა დაიწყო. მტკვარი უნდა დამორჩილებოდა კაცის გონებას და დაეთმო თავისი ძალა-მის საკეთილდღეოდ.

— სამი წელიწადი სცვლიდა აქ მუშა-გლეხს, დიდი—პატარას. ყველა გრძნობდა სინათლის საჭიროებას, აფასებდა მას და დაუღალავად მონაწილეობდა ამ დიდ საზოგადოებრივ საქმეში.

კაცის სურვილით მტკვარმა შესცვალა მიმართულება, რომელსაც ის საუკუნოებით ეესჩვევოდა ახლა, თეთრად გაქაფული, მრისხანედ გადმოქუხს რამოდენიმე საჟენის სიმაღლიდან და წინწკლებით აბრუნებს ფართო ფრთებიან ბორბალს, რომელიც ამაყად სდგას და თითქოს იმის მოლოდინშია, როდის გაიხსნება მთავარი რაბი რომ ატრიალდეს და აამოძრავოს იქვე, საგანგებო შენობაში მოთავსებული მანქანები.

„კლასში“—მოისმა მასწავლებლის ხმა და ყველამ კიბისკენ მიაშურა.

დაფაზე სურათები ჰკიდია, მათი საშუალებით მასწავლებელმა უნდა გაურკვიოს მოწაფეთ სინათლის ისტორია.

— დღეს, ყმაწვილებო, ჩვენამდინაც მოაღწევს ის, რითაც კულტურული კაცობრიობა დიდი ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია სარგებლობს. საუცხოვო ენერგია, რომელიც 100 ვერსიდან ჩვენამდე მოვა—ელექტრონია. მაგრამ სანამ ამ ძალას მიაგნებდა და გამოიყენებდა, კაცობრიობამ დიდი გაჭირვების გზა განვლო. აი,

შეხედეთ ამ სურათს. გამოქვაბულში მოთავსებულა პირველყოფილი ადამიანი. მას ღღე მოულევია და ახლა ზის ცეცხლთან, რომელიც მას საჭმელს უმზადებს, ათბობს, და უნათებს კიდეც. ის ივახშმებს და შემდეგ ძილს მისცემს თავს. სინათლე მისთვის მეტად საჭირო არ არის. დილიდან ისევ შეუდგება ნადირობას, რომელიც მის საზრდოობის პირველ წყაროს წარმოადგენს.

მაგრამ ადამიანები მრავლდებიან, გამოქვაბულები და სხვა ბუნებრივად შექმნილი თავშესაფარები აღარ ჰყოფნის მათ. იძულებული ხდებიან აიშენონ ქოხები, ამასთანავე ცდილობენ ერთი-მეორესთან ახლო დასახლდენ. აქედან იწყება საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელიც ართულებს დამოკიდებულებას, ამრავლებს ადამიანის მოთხოვნილებას. სინათლის მოთხვნილებაც იზრდება. ადამიანი განაგრძობს სინათლისათვის ცეცხლით სარგებლობას, მაგრამ ამჩნევს მის უხერხულობას და ეძებს სხვა უკეთეს საშუალებას. ის ხედავს, რომ ხეების ჯიშთა შორის ნაძვი დიდხანს და უფრო მნათე ალით იწვის და ადვილად გადადის მკვარით

განათებაზე. შემდეგი დაკვირვება არწმუნებს მას, რომ ქონიც იწვის და ანათებს. ქონი, როგორც

ნადირობის შედეგი, მას ბლომად მოეპოვება. ადამიანს ებადება ამ მასალის გამოყენების აზრი, რასაც შედეგად ჭრაქიც მოჰყვება. ჭრაქით განათებაზე ადამიანი იძულებული იყო დიდხანს შეჩერებულიყო".

„კაცობრიობა,—განაგრძობდა მასწავლებელი, თანდათან ვითარდება. სწავლა-განათლება მეტიდროდ იკიდებს ფეხს და, რამდენად წინ მიდის კაცი თათის განვითარებით, იმდენად მძიმედ გრძნობს ცხოვრების პირობებს და ეძებს მისი გაუჯობესების საშუალებებს. ბოლოს კაცმა მიაგნო ნავთს და გამოიყენა ის განათებისთვის. ნავთით ვსარგებლობთ დღეს ჩვენც. სულ ახლოა ის მომენტი, როდესაც თეთრი ნახშირის წყალობით ელექტრონზე გადავალთ და ნავთით განათებას დავიწყებას მივცემთ.

— „რა არის თეთრი ნახშირი?—ერთხმად შეეკითხენ მასწავლებელს მოწაფეები.

— ადამიანი, განაგრძობდა მასწავლებელი—თითქოს კითხვა არც კი სმენოდეს მის ყურს,—დიდი ხანია იცნობს ელექტრონს. შიშით და კანკალით შესცქეროდა ის ელვა-ჭექას, რომელიც ბადებდა მასში გაკვირვებას და ცრუმორწმუნეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუგებარი იყო მისთვის ცაზე ქუხილი, და სწორედ ამ გაუგებრობამ მიიყვანა ის იმ დასკვნამდე, რომ ეს მოვლენა წარმოსდგება ღმერთისაგან, რომელიც გამოხატავს მასში თავის უკმაყოფილებას და გულისწყრომას.

დიდმა დრომ განვლო სანამ კაცობრიობა გაიგებდა ელექტრონის ბუნებას და გახდიდა მას თავის კეთილდღეობის დაუშრეტელ წყაროდ. დაჟინებით და მედგრად მიისწრაფოდა ის ამ საიდუმლოების ამოცნობისაკენ, სანამ არ დაუპყრო გონებას და არ გახადა თავის მორჩილ მონა-მოსამსახურედ. დღეს ელექტრონი ჰკურნავს ავადმყოფს ექიმის კაბინეთში, ამოძრავებს მანქანებს ქარხნებში და სახელოსნოებში, რეცხს და აუთოვებს საცვლებს სამრეცხველოებში, ამზადებს საჭმელს და სწმენდს ჭურჭელს სამზარეულოში, სცვლის ჰაერს ოთახში და ასუფთავებს ბინას. ელექტრონით კაცმა ღამე დღეთ აქცია. მისი წყალობით ათას და ათიათასს ვერსის მანძილზე ერთი მეორეს ელაპარაკებიან. ერთი სიტყვით არ არის ისეთი საქმე, არ არის ისეთი მუშაობა, სადაც კაცს ელექტრონი არ გამოეყენებინოს.

ახლა ეს საუცხოვო ძალა ჩვენამდეც მოაღწევს და გაგვანათებს.“

უცბად კაშკაშა სინათლემ ოთახი აავსო.

ელექტრონი აინთო.

ბავშები ჯერ გინცვიფრებით შესცქეროდენ საუცხოვო ლამპარს. შემდეგ ყველამ ერთხმად შესძახა:

— ვაშა, გაუმარჯოს სინათლეს!

მოვიდა სინათლე, რომელიც დაუშრეტელი ენერგიის წყალობით ჩაუქრობელი იქნება.

—

—აი თეთრი ნახშირი,—ესაუბრებოდა მასწავლებელი ბავშებს, რომელთაც მეორე დღეს წისქვილთან თავი მოეყარათ.—თეთრი ნახშირი—წყალია, თუ ის ატრიალებს ბორბალს და ფქვავს პურს, თუ

ის მიაქანებს ტივს და აწვდის კაცს ერთ ადგილიდან მეორეზე სათბოს და საშენებელ მასალას, ამოძრავებს მანქანებს.

თეთრი ნახშირი ცნობილია ძველთაგან, მაგრამ ფართოდ მისი გამოყენება დაიწყეს უკანასკნელ დროს, როდესაც მრეწველობის განვითარებით ელექტრონის მოთხოვნილებაც გაიზარდა. თეთრი ნახშირით ელექტრონს იღებენ ბლომად და იაფად.

კირ. არჯევანიძე.



გაზაფხულდა

მიყვარს, მონა ვარ გაზაფხულისა!..
ვენაცვალე მას... ვენაცვალე...
„მისსა მნახველსა ნახული,
არღარა მოეწონების...“

გაზაფხული მშვენიერი ღვთაებაა.

იგი მოჰქრის სხივოსან ზურმუხტის ალამით და მოაფრქვევს: სიხარულს, ფეხედნიერებას, სიყვარულს.

ჯერ არც კი გამოჩენილა მისი ფერადფერადი ამალა, რომ გულმა იგრძნო მისი მოახლოვება...

გულმა მიიღო სანუკვარი სხივ-წერილი...

ელვა არის ეს სხივ-წერილი...

გაიკლაკნა ელვა და ყველა დარწმუნებულია აღმოსავლეთიდან გაზაფხული მოაშრიალებს თავის დროშებს...

თოვლ-გადამდნარ ჩირგვნარ-ბეჭებში თავი ამოჰყვეს, გადაიშალენ ია-ენძელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ია-ენძელები, მაყრიონია გაზაფხულისა...

იგინი გვახარებენ, რომ საცაა გამოჩნდება ნაინატრი...

გამოჩნდება იგი და უამრავი ყვავილების ენით, უანგარიშო ჩიტუნების წკრიალით—დაუკაკუნებს ყველას გულებს...

და ვინც უნდა იყოს... თუნდა კაეშნის ცეცხლში იფუფქებოდეს; თუნდა სასო-წარკვეთილების დარაბები ჰქონდეს სარკმელზე აფარებული,—გაზაფხული უეჭველად გაალებინებს ამ დარაბებს... თუ გაჭირვეულდა და არ გააღო,—არ შედრკება—იპოვის გზას, შეიჭრება ალერსიანი სხივებით...

და გაიკრიბებიან დამძიმებული სცდის ნისლები...

გაიხიზნებიან ჯავრის მიკიოტები... გადავიწყდება უსასოობა და უეჭველად შეუყვარდება, შეემსჭვალება გაზაფხულს...

აი, მთებს უკვე დაუარა ნეტარების სიო...

ყველა აღიგზნო... ყველასა ჰსურს ყოვლის უწინარეს თვით შეეგებოს გაზაფხულის მიჯნურს, მოკაშკაშე მზეს...

მთები თითქოს ერთი მეორეს ზურგზე შესხდომიან და იწევენ მაღლა .. მაღლა...

ფრთხილობენ გაზაფხულის მზის სიმღერის პირველი მუხლები არ დაჰრჩეთ მოუსმენელი...

პაწაწა, კუკნა სერიც კი ცმუკავს, თითქოს მაღალს მთებს ეხვეწებოდეს აიყვანოს იგი და მხრებზე შეისვას მზის შესახვედრად...

შორით შორს უკვე მოისმა მთა-ველების მეჭიანურის—ნიავის კრიმანჭულები..

იგი ეშხით მოშაირობს საამო ამბებს: —მობრძანდა, მოწარნარდა გაზაფხული, გიხარიდეთ... გიხაროდეთ...

და უხარის ყველას... უხარის...

ქალაქის ჭლექიან დასახჩრებულ ხეებმა და ჩირგვებმაც კი ნეტარებით ღაღანი იწყეს...

მე ვიღებ ყვავილების ლალისფერ თასებს და ვსვამ გაზაფხულის სადღეგრძელოს...

დ. თურდოსპირელი.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია

ნასტასია ერისთავი-ხოშტარია დაიბადა 1868 წ. თებერვლის 3-ს ქ. გორში.

მისი მშობლები „დიდი გვარის შვილები“ იყვენ.

მამა მისი გიორგი ერისთავი „რუსეთუმე-“ს სახელით იყო ცნობილი; დედა—ზაალ ბაგრატიონ-დავითიშვილის ქალი— ელისაბედი.

პატარა ანასტასია, იმ თავითვე მეტად მგრძნობიარე და დაკვირვებული იყო. მან ისარგებლა თავისი გვარიშვილობით იმ მხრით, რომ აეწერა გადაგვარების გზაზე დამდგარი თავად-აზნაურობის ყოფა-ცხოვრება და თვალსაჩინო გაეხადა მათი ფუქსავატობა.

ბავშობა ანასტასიამ გაატარა სოფელ ფცაში, პაპასა და დიდედასთან

ის სწავლობდა გორის პროგიმნაზიაში, სადაც მისი ქართულის მასწავლებელი იყო ცნობილი ნიკო ლომოური. პატარა ანასტასიამ თავისი ყოფაქცევით და ლიტერატურის სიყვარულით მიიქცია მასწავლებლის ყურადღება, რომელიც თავისი მხრით ეცადა მომავალი მწერალი ქალისათვის გზა გაეკვლია.

პროგიმნაზიაში ყოფნის დროსვე მან გადმოაკეთა რუსულიდან ლეგენდა მიჯაჭვულ ამირანზე: „ბესო“, რომელიც დაიბეჭდა 1885 წ. საყმაწვილო ჟურნალ „ნობათ“-ში.

პროგიმნაზიის დასრულების შემდეგ ანასტასია ისევ დაბრუნდა სოფელ ფცაში, სადაც გაეცნო პოეტს აკაკი წერეთელს, რომელიც იმ სოფლის ხშირი სტუმარი იყო. აკაკიმ ნახა მისი ნაწერები, მოუწონა და წააქეზა რათა განეგრძო წერა.

1896—1897 წლებში დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ მისი დიდი რომანი „მოლიპულ გზაზე“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ერთ საუკეთესო რომანად ითვლება. ამ წიგნმა ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ 1920 წ. გამოიცა მესამედ. ეს რომანი აგრეთვე გადაკეთებულია პიესადაც.

1896—1897 წლებში მან დასწერა აგრეთვე მოთხრობები — „ბედის ტრიალი“ და „ეკლესიის გარშემო“. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მოთხრობები — „კამისია,“ „ლაზარემ გადააჭარბა“ „ბატონებმა არ დაიწუნეს“ და სხვა.

1897 წ. ანასტასია ცოლად გაჰყვა პოეტს დუტუ მეგრელს (დიმიტრი ხოშტარიას).

გათხოვების შემდეგ რამდენიმე წელი ის სცხოვრობდა სამშობლოს გარედ: ყარსის ოლქსა, ერევნის და განჯის გუბერნიებში, სადაც მსახურებდა მისი მეუღლე, მაგრამ მალე ისევ სამშობლოს დაუბრუნდა და ოჯახობით დაბინავდა დედა-ქალაქში.

ამა 1924 წ. 9 მარტს მას, როგორც დამსახურებულ მწერალ ქალს გადაუხადეს იუბილე, ტფილისში, რუსთაველის თეატრში, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო და ჩატარებულ იქმნა დიდის ზეიმით. იუბილიარს მიულოცეს სხვადასხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. სხვათა შორის განათლების სახ. კომ. სოც. აღზრდის მთავარმართ. სექციამაც, რომლის ხელმძღვანელობითაც გამოდის საყმაწვილო ჟურნალები „ნაკადული“ და „ჯეჯილი“ და მიართვა ძღვნად ყვავილების კალათი და წიგნები.

საიუბილეო დღისათვის აგრეთვე გამოცემულ იქნა სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ან. ერისთავი ხოშტარიას წიგნი, სახელწოდებით: „მიწა,“ რომელშიაც დაგროვილია განსაკუთრებით ისეთი მოთხრობები, რომელნიც აგვიწერენ უმთავრესად გლეხობის ყოფა-ცხოვრებას.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ქართველ რომანისტებს შორის ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ცნობილი კრიტიკოსი ივანე გომართელი მის შესახებ სწერს: „ანასტასიას სახელი შეკავშირებულია ქართულ რომანთან, ის ჩვენი რომანის გვირგვინია.

ანასტასიას რომანში მთელი მისი სულია ჩაქსოვილი: სპეტაკი, გულწრფელი, მიუდგომელი, სიყვარულით დატვირთული, სიმართლისათვის დატანჯული.

ანასტასიას რომანი სარკეა ჩვენი ერისა, მისი საზოგადოებრივი მოძრაობისა; ამ სარკეში ჩვენ ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში გავლებულ მოლიპულ გზას, რომელზედაც დაექანება ძველი საქართველო, რომ ადგილი დაუთმოს ახალ საქართველოს.“

ან. ერისთავი-ხოშტარია თავის ნაწერებში სოფლის ცხოვრების ყველა მხარეებს შეეხო და ყოველგან შეიტანა თავისი გულწრფელობა, სიყვარული და ქალური სინაზე. ის ეკუთვნის იმ ქალთა ჯგუფს, რომლებმაც პირველებმა დაახწიეს თავი კარჩაკეტილობას. ამ ოცდახუთმეტი წლის წინად, როცა ანასტასია გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, საზოგადო მოღვაწე და მით უფრო მწერალი ქალი, იშვიათი მოვლენა იყო არა თუ ჩვენში, საქართველოში, არამედ სხვა ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებშიაც.

ამ მხრივაც მისი ღვაწლი ფრიად დასაფასებელია. მან თავისი მაგალითით უჩვენა ქართველ ქალებს რომ ქალსაც შეუძლია იყოს საზოგადო მოღვაწე, მწერალი და ისეთივე სარგებლობა მოუტანოს თავის ერს, როგორიც რჩეულ მამაკაცებს. რომ ამიტომ ქალები ღირსნი არიან მამაკაცთან თანასწორი უფლებით სარგებლობდენ.

ასეთი შეხედულება ქალზე იმ დროს უმრავლესობისათვის გაუგებარი იყო და მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ მოხდა ჩვენში ქალთა მამაკაცებთან უფლებრივად გათანასწორება.

ამ ჟამად ანასტასია ერისთავი-ხოშტარია ტფილისში სცხოვრობს და ჩვენი ჟურნალის „ნაკადულის“ თანამშრომელია. ის დღესაც მხნედ და ნაყოფიერად განაგრძობს თავის მოღვაწეობას.

მ. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წითელ სხივს.“

როს ველმინდვრებში დაქანცული ნათამშები,
მოვალთ სკოლაში, მისი ხილვა გაგვეხარდება.
წითელი სხივი გარდიშლება წითელ ვარდებათ
და შევიტკბობთ მას საქართველოს ნორჩი ბავშები.
მოგვიტანს ზღაპრებს, კარგ მოთხრობებს და ლამაზ ლექსებს,
გვეტყვის რას ამაოებს გარეჯრაჟზე ლურჯთვალა ია,
როს ამაყი მზე დედამიწას სითბოს ასესხებს,
ალამს გადასცემს მთის თხემიდან მოსხლეტილ ნიავს.
გრძნებით ახატავს ნაპრალებში მჩქეფარ ნაკადულს,
როცა ტალღები ბრილის მძივებს დააქუცმაცებს,
გვასწავლის შრომას, შეგვაყვარებს შრომის სიყვარულს
და აგვზრდის გმირად ჯერეთ კიდევ პატარა კაცებს.
თავისუფლებას დაუდგებით ჩვენც გუშაგებათ.
ისევითვე გამოვსჭედთ სიხარულის კარის გასაღებს
ახალ სიცოცხლეს შევიყვარებთ ახალ გაგებით
და სიყვარულის ყვავილებით ავავსებთ ბაღებს.
ბედნიერება გვესტუმრება ბზიურ რაშებით,
„წითელი სხივი“ გადიშლება წითელ ვარდებათ,
ცის ემბიონზე მისი ხილვა გაგვეხარდება
და იმ შუქს გავსდევთ საქართველოს ნორჩი ბავშები.

საფო მგელაძე.

ბავშთა ცხოვრება

ვინ არიან ახალგაზრდა პიონერები—ლენინელები

ახალგაზრდა პიონერები—ახალგაზრდა ლენინელები—მშრომელ ხალხთა ბავშები პიონერები არიან ნათელი მომავალისა, რომელნიც მტკიცე აღთქმას სდებენ მეგობრობა გაუწიონ მუშათა კლასს. ცდილობენ მომავალში გახდენ მსოფლიო მშრომელთა რესპუბლიკის ჭეშმარიტი მოქალაქენი.

ამათი მეცადინეობის საფუძველია:

სოციალური—შრომითი აღზრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძია ლენინის დასაფლავების დღეს.

ჩვენ, ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტური ჯგუფის წევრებმა რომ გავიგეთ ძია ლენინის გმრდაცვალება, ძალიან დაგვაღონა ამ მოულოდნელმა ამბავმა. იმ საღამოს, როდესაც გავიგეთ ეს სამწუხარო ამბავი, ჩვენ ვითვალისწინებდით 1905 წ. მუშების ტანჯვას, რომელიც გაპონმა მოატყუა და დაახოცინა ჯარს. ამ სამწუხარო მოგონების დროს კიდევ უფრო სამწუხარო ცნობა მივიღეთ—მსოფლიო მუშათა ბელადის გარდაცვალების ამბავი, ჩვენ საღამო აღარ გავაგრძელეთ. მეორე დღეს სკოლიდან მეორე გაკვეთილის შემდეგ დაგვითხოვეს. საღამოს ოთხ საათზე სპარტაკში წავედით იქაც უკვე გაეგოთ ეს სამწუხარო ამბავი. მესამე დღეს დილით სპარტაკის ეზოში შევგროვდით და 10 საათზე ქუჩაში გავედით. მთელი ქალაქის ქუჩები შავად იყო შემოსილი სამგლოვიარო მუსიკა უკრავდა, მოჰქონდათ ლენინის სურათები. ხალხი დაღონებული და შეწუხებული, იყო, ყველას სახეზე ამოიკითხავდით შემდეგს: დაგვეკარგა ჩვენი ბელადი. 1 საათზე შევგროვდით ყველა პიონერები ალექსანდრეს ბაღში, იქ იყო მოხსენებები ძია ლენინზე, თუ როგორ თავდადებულად მუშაობდა მუშათა გასანთავისუფლებლად. დიდი შრომის და ფიქრის შემდეგ გარდაიცვალა ძია „ლენინი“ 1924 წლის 21 იანვარს.

მოხსენების შემდეგ სახლში წამოვედით, ყველას გვაწუხებდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის უდროოდ და მოულოდნელად გარდაცვალება, მაგრამ მან დაგვიტოვა: ლენინიზმი—სწავლა, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის.

თამრო მაზმნიშვილი.

ტფილისის მეოთხე რაიონთან არსებულ მიწატუის კოლექტივში.

ხსენებული კოლექტივი სულ სამი კვირა იქნება რაც დაარსდა. კოლექტივში ირიცხება 14 ბავში ყველა მუშების შვილებია. არჩეული გვყავს აღმასკომი 5 ამხანაგისგან. კოლექტიკის არა აქვს საკუთარი ბინა, რაც დიდათ აფერხებს მეცადინეობას. სოციალური აღმზდელობითი მუშაობა სათანადო დონეზეა დაყენებული: იმართება საღამოები. საუცხოოთ ჩატარებული იქნა საუბარი „ილიჩზე“

მოლოტი.

ახალგ. ლენინელთა ბავ. კომ. ჯგ. ქ. თელავში.

ქალ. თელავში არსებობს ბ. კ. ჯ. ერთი კოლექტივი, ახალგაზრდათა „კომინტერნის“ სახელობისა, რომელშიც 90-მდე ბავში ითვლება. ზამთრის განმავლობაში მუშაობა მოისპტებდა სხვა დასხვა მიზეზების გამო. ახლა კოლექტივში მუშაობა გაჩაღებულია. სისტემატიურად ტარდება საუბრები, არის ვარჯიში და სხვა გასართობები.

ბავშები ყოველგვარ საქმიანობას დიდი ხალისით ეკიდებიან.

22 აპრილს საღამოს, ლენინის დაბადების დღის აღსანიშნავად, კოლექტივის წევრების მიერ გაიმართა უფასო წარმოდგენა კომ-კავშირის კლუბში. დადგმულ იქნა ორმოქმედებიანი საბავშო პიესა „ობოლი“ და ერთ მოქმედებიანი „დგმური.“

საღამოს დამსწრენი განსაკუთრებით ბავშები იყვენ.

წარმოდგენის წინ გაკეთდა მოხსენება „ლენინის ანდერძები მომავალ თაობისადმი.“ საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე.

ამალგაზრდა ლენინელი.

აფხაზეთის ახალგაზრდა პიონერები

თითქმის ერთი წელიწადია რაც საბავშო მოძრაობამ იჩინა თავი ჩვენში, მაგრამ ამ დროს განმალობაში ახალგაზრდა პიონერების რაზმები განვითარდენ, როგორც ღირსებით, ისე რაოდენობითაც. ბავშთა მოძრაობის კვირისათვის აფხაზეთში ითვლებოდა პიონერთა ათი კოლექტივი.

1-ლი	რაზმი	**კარლ ლიბკნეხტის სახელობისა**	(შრომის სკოლები)
მე-2.	„	**ე. ეშბას** „	(შრომის სკოლები)
მე-3.	„	**ლუნაჩარსკისა** „	„ „
მე-4.	„	**ვ ი. ლენინისა** „	(სლობოდკაზე)
მე-5.	„	**კ. მარქსის** „	(ბავშები 11 წლამდე)
მე-6.	„	**ნ. ლაკობას** „	(აფხაზეთის სკოლის ინტერნატი)
მე-7.	„	**აკირტავას** „	(კომუნის სკოლა)
მე-8.	„	**ზინოვიევის** „	(გულრიბშის სანატორია)
მე-9.	„	**ლეიტენანტ შმიდტის** „	(გ. გუდაუთი)
მე-10.	„	**ქალაქ ოჩამჩირის** „	(სდგება)

სულ 610-ზე მეტი პიონერები—ახალგაზრდა ლენინელებია.

საქართველოს ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ცენტრალური საბჭო.

პირველი პლენუმის სხდომა საბჭოსი მაზრების საზოგადოების თავმჯდომარეებთან ერთად. შესდგა 26—30 თებერვალს 1924 წ.

ამიერ-კავკასიის ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტურ ჯგუფების ცენტრალური საბჭო.

აზერბეიჯანისა და სომხეთის ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებს აქვთ, საქართველოში, თავიანთი ცენტრალური საბჭოები.

რათა უზრუნველყოფილ იქნას კომუნისტურ მოძრაობის სათანადო სიმაღლეზე დგომა და, მათი მიზანშეწონილად და ნაყოფიერად წინსვლა—მთელ ამიერ-კავკასიის ჯგუფებს აქვთ საერთო ორგანო, ამიერ-კავკასიის ცენტრალური საბჭო.

საბჭოს მეორე პლენუმის სხდომა შესდგა 20 აპრილს 1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. კ. ჯგ. ქ. ზესტაფონში.

ქ. ზესტაფონის ბავშთა კომუნისტურ პირველ ჯგუფში არის 120 წევრი. არსებობს 2 კოლექტივი, პირველი კოლექტივი არის **კ. ლიბკნეხტის** სახელობისა და შესდგება კ. კ. წევრებისაგან და მოწაფეებისაგან. მეორე არის **ბორის ძნელაძის** სახელობის — შემდგარი ნოქარ-შეგირდებისაგან. მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს.

ჩატარებულ იქნა საუბარი ლენინის შესახებ. საუბრის შემდეგ გამოტანილ. იქნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ ქ. ზესტაფონის ლენინის სახელობის ბ. კ. ჯ. მუდამ იქნება მედგარი მებრძოლი „ილიჩის“ მიერ დასახულ მიზნების განსახორციელებლად. 25 თებერვლის ჩატარებაში კოლექტივებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. მოახდინეს **დემონსტრაცია** ქუჩებში, რის შემდეგ გაემართენ ამ დღის აღსანიშნავათ მოწყობილ კრებისაკენ.

ზესტაფონელი.

ილიჩის საყვარელი ლექსი

(ბავშვებისაგან.)

ბანჯვაწა-მებით მარად ლტოლვაში
მოწყდი კლდეებზე, ვით მძიმე ზვავი.
საერთო საქმ ს სადარაჯოზე
შენ პატიოსნად დასდევი თავი. (2-ჯერ)

შენ ემსახურე მთელი სიცოცხლე
დაუღალავად, მშრომელთა მხარეს.
დღეს კი ვალმოხდილს, შენივე ძმები
აქ მიგაბარებთ შავ-ბნელ სამარეს. (2-ჯერ)

საერთო მტერი უკვე დაჩუმდა,
დღეს გარს გეხვევა ჭირისუფალი.
თქვენ დაგიხუჭეთ ამაყ მეომარს
ცეცხლის მფრქვეველი, არწივის თვალი.

თუმც სიმწუხარე სულს გვიშფოთებდა,
თვალებს მოაწვა ცრემლების ღვარი.
როს გშორდებოდით სამარადჟამოდ
მიწით დავფარეთ შენი ცხედარი. (2-ჯერ)

შურისძიებით ამხედრებულნი
ბრძოლაში წავალთ ერთად სიმტკიცით:
შენს სამარესთან ვამბობთ ამ სიტყვებს,
ურყევი რწმენით, ძლიერი ფიცით. (2-ჯერ)

პ. ოდიშელი.

წითელი გასეირნება

გერმანელ ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებისა,
(თარგმანი)

წინასიტყვაობა

გერმანეთში, ბავშთა კომუნისტური ჯგუფები არ მართავენ ბანაკებს, როგორც ჩვენში პატარა პიონერები და სპარტაკელები.

ნაცვლად ამისა, ჩვენი გერმანელი ამხანაგები აწყობენ რამოდენიმე დღით, ან კვირით დიდ გასეირნებებს.

ამ გასეირნებებს ეწოდება „წითელი“ იმისთვის, რომ პატარა კომუნისტები ამ სეირნობის დროს არა მარტო ათვალიერებენ ლამაზ ადგილებს და შენობებს, არამედ აგიტაციასაც ეწევიან ბავშთა ჯგუფებისათვის, კომუნიზმისათვის. მათ არასოდეს არ ავიწყდებათ, რომ ისინი კომუნისტებია, და ცდილობენ ყველგან და ყოველთვის შემოიკრიბონ წითელი დროშის ქვეშ მუშათა და გლეხთა სხვა ბავშებიც.

ამ წიგნაკში აწერილია ქალაქ ცოლენროდის ჯგუფის ერთ-ერთი წითელი გასეირნება. აღწერა ამოღებულია გერმანულ გაზეთ „ნეის ცეიტუნგიდან. („ახალი გაზეთი“), რომელიც გამოდის ქალაქ იენში.

მდიდრები უკმაყოფილო არიან

ოხ, როგორ ილანძღებოდენ ცოლენდროდელი მდიდრები.

—რის ნებას არ აძლევს ეს ხალხი თავიანთ თავს... რომ სკოლის ბავშებმა იხეტიალონ მთელი ოთხი კვირა—ისიც ბიჭებმა და გოგოებმა ერთად. აბა როგორ არ აღელდეს „პატიოსანი ადამიანი“. ამას ხომ მასწავლებელი ჩადის. როგორ უნდა გექნეს მისი პატივისკემა.

აღელდა მთელი ქალაქი.

ჩვენ კი მხოლოდ გვეცინებოდა მათ მსჯელობაზე, და რამდენადაც უფრო ხმა მაღლა ილანძღებოდენ ჩვენი მდიდრები, იმდენად უფრო გაძლიერებით ვემზადებოდით მგზავრობისათვის.

მგზავრობა დაიწყო

ჩვენ პირველ უქმე დღესვე გამოვედით ჩვენი მშობლების, მამიდების და სხვა ნათესავების თანხლებით სადგურზე, გამოსალმება—და გავეშურეთ შორეულ გზისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ოთხი კვირით მიიხურა ჩვენს უკან მჩაგვრელი სკოლის კარები. ალარ არის მტანჯველი მასწავლებელი, რომელსაც მუდამ დაჯაბნებული ვყავართ.

ჩვენ თავისუფალი ვართ, სიცოცხლის სიხარულით აღსავსენი და გვსურს დავტკბეთ სანახაობით.

მახლობელ ქალაქ ზაფელდის სადგურზე, ჩვენ გვეგებებიან კომუნისტები, რომელნიც სანამ ქალაქს დავათვალიერებდეთ სიამოვნებით გვითმობენ თავიანთ ბინებს.

ჩვენ მხიარულად და მხნედ მივდივართ წინ

მეორე დღეს მძიმედ დატვირთული ისევ გავუდექით გზას. ახლა ჩვენ უკვე ფეხით გვიხდება სიარული.

მხიარულად წკრიალებს ჩვენი სიმღერები ზაფხულის დილის ოქროსფერ სხივებში. მზე სულ მაღლა და მაღლა იწევს, ტვირთიც თანდათან გვიმძიმდება მხრებზე, მაგრამ ჩვენ მაინც მივდივართ წინ.

უახლეს დასვენებაზე შევუდექით მარაგების სისწრაფით განადგურებას. ვცდილობდით შეგვემსუბუქებინა ჩვენი ჩანთები.

ღამეს ვათევთ საცეკვაო დარბაზში.

და ასე ვმოგზაურობთ დღითი-დღე. როდესაც შემოგვაკლდა საჭმელი, ვუმღერდით გლეხებს და ჩვენი ჩანთებიც უხვი საჩუქრებით ივსებოდენ.

მდიდრებს არ მოსწონთ ჩვენი სიმღერა

ამნაირათ შემოვიარეთ პირველ რიგში ტიუერინგიის ოლქი.

ოხ, რა სილამაზეა, ყოველგან ამწვანებული მთები მორთულ სოფლებით. ალერსიანი ხალხი.

მართალია მდიდრები არ გვხდებოდენ მეგობრულად, რადგან მათ არ მოსწონდათ ჩვენი ბრძოლის სიმღერები, სამაგიეროდ მუშები ყოველთვის სიხარულით გვესალმებოდენ და ჩვენ გავატარეთ მათთან არა ერთი ტკბილად მოსაგონი საათი.

ჩვენ მოგზაურობის შესახებ შეიტყვეს ფაშისტებმა, მაგრამ ჩვენ მათი არ გვეშინია

გზაზე, პარტიის ორგანიზაციის კომიტეტიდან ჩვენმა ხელმძღვანელმა მიიღო წერილი, სადაც გვაფრთხილებდენ ბავარიაში ექსკურსიის გაგრძობის შესახებ, ვინაიდან იქ ფაშისტებს უკვე შეუტყვიათ ჩვენი ამბავი.

სასწრაფოთ მოწყობილ კრებაზე, ერთხმათ გადავწყვიტეთ რათაც არ უნდა დაგვჯდომოდა მაინც გადავსულიყავით ბავარიაში. ჩვენ უნდა შეგვშინებოდა ფაშისტების? კომუნისტებს, იცოდეთ, არაფრის არ ეშინიათ. ჩვენ ხელმძღვანელს ძლიერ ესიამოვნა ჩვენი ასეთი დადგენილება. ჩვენ კი მაგრად ჩამოვართვით ერთმანეთს ხელები.

მეშვიდე დღეს უკვე ბავარიაში ვიყავით. შევიარეთ ქალაქ ვიურცბურგში. დავბანაკდით მაინში, დავათვალიერეთ საფუძვლიანად ქალაქი. მრავალი ფაშისტური ჯვრებით სტუდენტები გვხდებოდენ. ჩვენ ამაყად და ზიზღით ვუცქერდით მათ.

იმპერატორის სასახლეში

ჩვენ განვაგრძეთ გზა, მდინარე დუნაის დაბლობისკენ.

შევიარეთ გერმანეთისი მპერატორების—ჰოგენცოლერნების სასახლეში. ბევრი ვიცინეთ, როდესაც დავათვალიერეთ ოდესლაც აქ მცხოვრებ იმპერატორ ვილჰელმის ოთახები. მოსამსახურენი ახლაც ელიან ვილჰელმის დაბრუნებას და ახლაც მოკრძალებით უვლიან მდიდრულად მოწყობილ მის ოთახებს. ყოველივე შემსვლელი ვალდებულია წამოიცვას ფეხზე ვებერთელა ნაბდის წაღები.

საკვირველია, როდესაც დღევანდელ დროშიც ხედავთ ასეთ ხალხს, სასახლის უფროსს სულ პირზე აკერია—„მისი უდიდებულესობა“, სისხლის მსმელ ვილჰელმის შესახებ.

ყველაფერი კარგია, მაგრამ არა მუშებისათვის

ორთქლმავალ გემით გავწიეთ წინ. გზაზე შახურნის კურორტში შევჩერდით. ჩვენ გვითხრეს, რომ იქ ერთი დღით ცხოვრება ჯდება 800 ათასი მარკა. განა ეს ხელმისაწვდომია მუშებისათვის? ქალაქ ლინდაუში მარტო ღამის გათევაში 350 ათასი მარკა მიაქვთ. განა ეს შეესაბამება პროლეტარის ჯიბეს? ლინდაუში ჩვენ ყველგან ვნახულობდით მშვენიერ ბაღებს, სახლებს და საოცარ ბაღპარკებს. შეიძლება თქვენ ფიქრობთ, რომ იქ მუშის ბავშვებსაც უშვებენ. შესცდებით. ეს ყველაფერი მხოლოდ ისეთ მოსეირნეთათვისაა, რომელთაც არასოდეს არ უშრომიათ თავიანთ სიცოცხლეში. ეს საბჭოთა რუსეთი არ არის.

აქ მდიდრები სჭამენ თელი დღეობით გათქვეფილ ნაღებს და სვამენ რძეს, რომელსაც პროლეტართა ღარიბ ბავშვებს ართმევენ. მათ რომ ჰკითხოთ, იტყვიან: „ფრანგები აძვირებენ ყველაფერს. მათ წაიყვანეს მეწველი ძროხები, ისინი არიან მიზეზი ყველა უბედურებისა“.

ჩვენ საქმეც არ დავივიწყეთ

მე-39 დღეს დავბრუნდით სახლში. შეიძლება თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ არაფერი გაგვეკეთებიოს კომუნისტური მოძრაობის სასარგებლოდ?

ტიურინგიაში, ჩვენ მოვახერხეთ ახალ ადგილობრივ ჯგუფის შედგენა და ორ ჯგუფის თანდასწრებით გამოსვლა ვიურტემბერგში ერთ საღამოს. შევადგინეთ ჯგუფი თორმეტი კაცისაგან; იცით როგორ ვახერხებდით ამას?

როგორ ვაკავშირებდით სოფლის ბავშებს

სოფელ ვინტერლინგში, დავბინავდით ერთ ძველ შენობაში, (საბძელში) ერთ-ერთ ამხანაგთაგანმა პური და ყავა მოგვიტანა.

შემდეგ ჩვენ გავეშურეთ მოედნისკენ და შემოვსძახეთ ხმამაღლა მებრძოლთა სიმღერები. ჩვენს მოსასმენად თითქმის მთელი სოფლის მცხოვრებლებიც შემოიკრიბა, მოზრდილთ გარდა აუარებელი ბავშებიც იყვენ.

ამხანაგ რიდელმა (ჩვენი ხელმძღვანელია) დაიწყო ჰერმინ მიულენის კომუნისტურ ზღაპრის „მსახურის"-ს მოთხრობა. შემდეგ ვიმღერეთ ხალხური სიმღერები, რომლებსაც ბანს აძლევდენ სოფლის მცხოვრებლებიც. ამნაირად გავეცანით ერთმანეთს.

შემდეგ ამხანაგმა რიდელმა გვიამბო, თუ როგორ აყეყეჩებენ პროლეტარულ ბავშთა თავებს, მოჰყვა ახალ სკოლებზე, სადაც კომუნისტი მასწავლებლები ზრდიან ბავშებს თავისუფალ ადამიანებად. გვიამბო მან ფაშისტებზედაც, რომელნიც ავიწროებენ მუშებს და სურთ ჩაამწყვდიონ ციხეში მათი ბელადები. აღმოჩნდა, რომ ფაშისტებს აქაც იცნობდენ. ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა 10—12 ბავში, რომელთგანაც შევადგინეთ ბავშთა კომუნისტური ჯგუფი.

რა ვნახეთ ჩვენ, მგზავრობის დროს

ასე ვიქცეოდით ჩვენ ყველგან და ამხანაგებიც ხშირად მადლობის ნიშნად თავიანთ თავზე იდებდენ სამგზავრო ხარჯებს. იყო მართალია შემთხვევები, როდესაც მარტო მშრალი პურით უნდა დავკმაყოფილებულიყავით, მაგრამ შიმშილობა მაინც არ შეგვხდომია.

სამაგიეროდ სხვა ადგილებში კარგად გვაჭმევდენ.

ბევრი ვიმუშავეთ გზაზე: ვმეცადინეობდით სერიოზულად ისტორიაში და გეოგრაფიაში, ვწერდით ლიტურს და უამბობდით ერთმანეთს პროლეტარიატის ბრძოლაზე და მის გაჭირვებაზე. მაგრამ რაც უმთავრესია—ჩვენ დავრწმუნდით, რომ გერმანიაში ყველგან მოიძებნება კეთილშობილი, ერთგული ხალხი, რომელნიც მზად არიან მიიღონ მონაწილეობა კომუნიზმისათვის დიად ბრძოლაში.

პროლეტართა ერთგული მასსა, რომელიც ასე ხალისით გვეხმარებოდა და გვესალმებოდა ბავშებს, მზადაა ჩვენთვის და ჩვენთან ერთად დაამყაროს კომუნისტური საზოგადოება, რომელშიაც არ იქნებიან არც სპეკულიანტები, არც გამყვლეფელი კაპიტალისტები, არ იქნება არც ღარიბები და ყველა იშრომებს ერთად, მეგობრულად, როგორც ძმები.

ყველაფერი მდიდრებისთვისაა

მოგზაურობის დროს ყველგან სახალხო სამკითხველოები და მუზეუმები გვხვდებოდა, მაგრამ კარებზე ყოველთვის იყო აღნიშნული ღიაა 9—1-დე და 3—4-მდე. მუშები ამ დროს ხომ ქარხანაში მუშაობენ, მაშასადამე მათ არ შეუძლიათ ისარგებლონ ამ საზოგადო დაწესებულებებით. აქედან აშკარაა, რომ ყველაფერი მდიდრებისათვის არსებობს, რომელთაც არ იციან სად მიაბნიონ თავისუფალი ფული და დრო.

დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

სადგურზე დაბრუნებისას ჩვენ უნდა შეგვხდომოდა ახალგაზრდათა კომიტეტები ჯგუფათ, მაგრამ მატარებელი მოვიდა ადრე და სადგურზედაც არავინ აღმოჩნდა. ხმა გაუვრცელებიათ, რომ გზაზე ვითომ ჩვენ თავს დაგვსხმია ფაშისტები და დაუტუსაღებიათ ჩვენი ხელმძღვანელი. სინამდვილეში კი არაფერი ამისთანა არ ყოფილა. ხმებს ავრცელებდენ მდიდრები, რომ დაეშინებიათ ჩვენი მშობლები.

იმდენი კარგი და ლამაზი რამ ვინახულეთ, რომ ხშირად მოვიგონებთ ამ მგზავრობას და როდესაც წამოვიზრდებით ვიბრძოლებთ კომუნიზმისათვის, რათა ყველა ბავშებს შეეძლოს იმგზავრონ ასე და ისარგებლონ ყველა თავისუფლებით, როგორც ეს საბჭოთა რუსეთშია.

ჩვენ გულმოდგინებით ვიმუშავებთ ბავშთა ჯგუფებში და ვეცდებით რაც შეიძლება მეტი ბავშები შემოვიკრიბოთ და მათაც ჩავუნერგოთ ღრმა რწმენა მუშათა მოძრაობის და კომუნიზმის ძლიერებისადმი.

მაშ გაუმარჯოს მთელი ქვეყნის ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებს.

ოდიშარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონია

ნაწყვეტი გ. ნეპპინგიდან.

ზამთარი იაპონიაში

ბარკო პოლომ მე XIII საუკუნის დამლევს აცნობა ევროპას, რომ ჩინეთის **დასავლეთით** არის კუნძულების ჯგუფები, რომელსაც ჩინელები დშიპონს, ან დში-პენკუეს უწოდებენ.

ვენეციელ მოგზაურმა გადააკეთა ციპანტუი აპონელებმა კი ეს ჩინური სახელი ნიპპინ'ათ, ან ნიპონ'ათ აქციეს და ეს სახელი დაარქვეს თავის სამშობლოს, რომელსაც იქამდე ბევრი სხვა სახელი ჰქონდა. ნიპპონ შესდგება ორი სიტყვისაგან, რომელიც ნიშნავს; **მზის ამოსვლა.** მასვე ეძახიან: **„ამომავალი მზის იმპერიას“**

რაც შეეხება სახელს **იაპონიას**, რომელსაც ევროპიელნი ხმარობენ, ეს ჯერ პორტუგალიელებისგან და შემდეგ ჰოლლანდიელებისაგან დამახინჯებული ნიპპონია. დასავლეთის ხალხისთვის სიტყვა ნიპპონ, იაპონიის იმპერიის მხოლოდ ერთ კუნძულს ეკუთვნის, მართალია უმთავრეს კუნძულს, რომელიც შეიცავს დედა-ქალაქის გარდა ბევრ სხვა ქალაქებსაც. იაპონელებისთვის კი ეს მთელი იმპერიის სახელია

იაპონელი ქალი ბავშვებით.

საკვირველია ის, რომ ამ კუნძულს იაპონიურად განსაკუთრებული სახელი არა აქვს, ხოლო სხვადასხვა სახელი, რომელსაც ეს რამდენიმე ხანია მას უწოდებენ, მაგ.: — **ჰონდო**, ჯერ იაპონელ ხალხში არაა გავრცელებული.

კუნძულ ჰონდოს გარდა, იაპონია შესდგება კიდევ სამი დიდი კუნძულიდან: ჩი, იეზო, კიუ-სიუ და სამხ სიკოკ. ამათ უნდა მიემატოს ლიო-კიუსის არქიპელაგი (ან როგორც ეძახიან ჩიო-კიუსი). ეს კუნძულები ანექსიით შეუერთდა იაპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიას 1876 წ., მიუხედავად ჩინეთის წინააღმდეგობისა, რომელსაც ამ კუნძულების პატარა მეფე ხარკს აძლევდა. თუმცა, მართალია, ის იმავე დროს იაპონიასაც აძლევდა ხარჯს. იაპონიამ შეუერთა მისი ტერიტორია და თავის მე 36-ე დეპარტამენტად გახადა. კუნძულები ბონინ და კუროლისა, რომელიც 1875 წ. რუსეთს გაუცვალეს სახალინში, ეხლაც ამომავლი მზის იმპერიის ნაწილებია. ამ კუნძულების გარშემო მრავალი სხვა პატარა კუნძული შეჯგუფულა; ამბობენ რომ 3850 წ. კიდევ მეტიც იქნება თუ ყველა მიწებსა და კლდეებს გადაავლებთ თვალს, რომელიც ოკეანეზე მოჩანს. ეს კუნძულების იმპერია უდრის ინგლისის, ჰოლლანდიისა და ბელგიის შეერთებულ სივრცეს. გერმანელი მოგზაური რეინი ამბობს, რომ ჰონდო ჰუნგრეთის ოდენაა, იეზოც ბავარიაზე ცოტა უფროსია; კიუ-სიუში ბადენი, გიურტენბერგი და ჰოგენ-ცოლერნი დაეტევა, სიკოკში კი მთელი შლეზვიგ ჰოლშტეინის პროვინციაო.

სიდიდე ამ ნაწილისა, რომელიც ერთი მხრით კამჩატკის გაყინულ ნაწილს აკრავს და მეორე მხრით კირჩხიბის ტროპიკს უახლოვდება, არის მიზეზი იმისა, რომ იაპონიის სხვადასხვა ადგილების ჰავაში დიდი განსხვავებაა. თუ იქ ზამთარში მიხვედით, ნამეტნავად—კალიფორნიიდან, რომელიც

მთა ფუზი-იამა.

იმის სიგანეზეა, გაგიკვირდებათ და ვერაფრად გესიამოვნებათ ის **დაბალი** ტემპერატურა და ცივი ქარები, რომელიც ამ დროს იქ იცის.

უცხოელისათვის, ამბობს იგივე მოგზაური, სრულიად მოულოდნელია ერთბაშად ამისთანა ცვლილება. იმას სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდა ქვეყანაზე „სადაც ზამთარში ყამელია იზრდება, სადაც ბამბუკის ტოტები 20 მეტრამდე აზიდულა და სიმრგვალე 0,45 აქვთ. სადაც ზოგგან პალმებიც ხარობს და შაქრის ლერწამი მოჰყავთ". რუის ეგონა, რომ თუ არ მუდმივი ზაფხული, რომ. გორც. იაპონიის ზოგ ნაწილებშია, თბილი და სასიამოვნო, ხმელთაშუა ზღვის მსგავსი ჰავა მაინც დახვდებოდა. იაპონიაშიაც ისევე, როგორც ჩინეთში და ციმბირში, ჰავის დიდი სხვადასხვაობაა. „მართლაც, იაპონიის ჰავა რომ მხოლოდ მზის სხივების ძალზე იყოს დამოკიდებული, გაუგებარი იქნებოდა თუ რანაირად არის რომ ტოკიოს დედაქალაქის ჰავა ისე განსხვავდება კუნძულ მალტის ჰავისგან, რომელიც ერთსა და იმავე **სიგანიდის** გრადუსზეა; ან რატომ არის, რომ ნაგასაკში ზამთარში ხშირად თოვლი და ყინულია. ყოველ შემთხვევაში საშუალო ტემპერატურა 6°3, როდესაც ფუნშალში (კუნძული მადერა), რომელიც მხოლოდ რამდენიმე წამით უფრო სამხრეთითაა, ტერმომეტრი 12°-ზე დაბლა არ ჩადის და საშუალოდ 15° და 16°-ზეა (ცელსიუსით).

ბოსტნეულობით და ყვავილებით მოვაჭრე იაპონელი.

აქ აშკარაა, რომ მიწაში მოქმედობს ვულკანიური ძალები. იაპონიაში მრავალი ვულკანია, რომელიც ჯერ კარგად არ არის ცნობილი. ბევრი მათგანის მწვერვალზე არავინ არ ასულა და სხვებიც სერიოზულად არ ყოფილან შესწავლილი.

ამ ვულკანებში, უუდიდესი არის ფუძი-იამა 3845 მეტრის სიმაღლისა. ის დაჰყურებს ერთ ნაწილს ჰონდოს კუნძულისას, სადაც ამართულია მისი განცალკევებული მწვერვალი, რომელიც ჩანს აგრეთვე ტოკიოს ზოგიერთი ქუჩებიდან.

ფუძი-იამა უმთავრესი მთაა, იაპონელების წმინდა მთა, რომელსაც გამოსახავენ ხელოვნების ათას ნაწარმოებში: ქაღალდზე (წიგნებზე, მარაოებზე), ქსოვილებზე, ავეჯებზე, ლაქსზე, ჭურჭელზე; იგი გამოჩუქურთმებულია ხეზე, ამოჭრილია ლითონზე.

თქმულების თანახმად ეს ვულკანი შივას ტბასთან ერთად ოდესღაც ერთ ღამეს გაჩენილა. მისი უკანასკნელი ამოხეთქა მოხდა 1707 წ., რამაც ორი თვე გასტანა, ნოემბრიდან—1708 წლის იან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრამდე: ნაცრისა და ქვების განუწყვეტელმა წვიმამ რვა დღის განმავლობაში მთლად დაჰფარა მინდვრები, შენობები და ტაძრები და ჩაფლა სამი მეტრის სისქე ფენს ქვეშ. მთელი სოფლები ჩაიფლა. ამ კატასტროფის მოწამე ერთმა ბერმა გულშემზარავი ამბავი მოგვითხრო. მისი სიტყვით დღე შეიცვალა ბნელ ღამეთ, გახურებული ქვების წვიმა შეუერთდა ნაცრის ქარიშხალს; და თითქოს ყველა საშინელება საკმარისი არ იყო, საერთო შიში მიწის ძვრამ კიდევ უფრო გაადიდა. იედოში სრული სიბნელე იყო: მიწა იძროდა, ქუჩები და სახლების სახურავები დაფარული იყო 16 სანტ. სისქე ნაცრით.

თავისი ისტორიის და ამ ისტორიიდან შექმნილ ლეგენდების წყალობით იზიდავს ფუძი-იამა მრავალს თაყვანისმცემელს, რომლებიც მიდიან მის სანახავად, უფრო კი მის კალთებზე, ან მის ძირში აგებულ ტაძრებში სალოცავად. ყოველ წელიწადს მიდის 15—20.000-მდე მლოცავი; ადიან მთაზე პატარა ზარების რეკით, თეთრებში ჩაცმულნი, მტაცებელ ფრინველების მოსაშინაურებლად, რადგან, როგორც ამბობენ, ისინი ემტერებიან იმ მოგზაურებს, რომელთაც უფრო მუქი ტანისამოსი აცვიათ; როცა ეს მლოცავნი უკან ბრუნდებიან, ტაძრის ღვდელს კაბებზე ნიშანს ასმევინებენ იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ავიდენ მთაზე და ეს ტანისამოსი ნამდვილი ნიშნით გადადის მამებიდან შვილების სამკვიდროდ, როგორც ნამდვილი წმინდა ნაწილი.

აზამა-იამა უფრო დაბალია. (2525 მ.), ის ისე არ იზიდავს მლოცველებს, თუმცა რეინის სიტყვით ეს არის იაპონიის უმთავრესი ვულკანი, ჯერ ჩაუქრობელი. 1783 წ—ში მან უკანასკნელად აგრძნობინა თავისი განმანადგურებელი ძალა, რომელმაც მთლად მოსპო მთელი ზონა ნაყოფიერი მიწისა, სწრაფად აქცია უდაბნოდ 48 სოფელი და ათასობით ადამიანები დაღუპა. ვინც ამ საშინელებას გადაურჩა სიმშილით დაიღუპა, რადგან მთელი მცენარეულობა ნაცარმა დაფარა. ცეცხლის ფრქვევას ხშირად მოჰყვება ხოლმე მიწის ძვრა. მეორე სენი ამ ქვეყნისა. უკანასკნელი და უსაშინელესი, იმ ზარალის მხრივ, რომელიც მიაყენა დედა-ქალაქს, 1855 წელს მოხდა. ხშირად იგონებენ ტოკიოში, რომელსაც მაშინ იედოს ეძახდენ: ნოემბრის დასაწყისიდან იმავე თვის 28-დე მიწის რყევა 80-მდე იყო და ყველაზე ძლიერი მოხდა იმ თვის 10-ს. სახლები მაშინვე ნანგრევებად იქცენ და მათი მცხოვრებნი ნანგრევებს ქვეშ დაიფლენ. ამავე დროს ცეცხლი გაჩნდა 30 სხვა და სხვა ალაგას და ვინც მიწის ძვრას გადაურჩა ის ცეცხლმა იმსხვერპლა. ამ უბედურების დროს ას ოთხი ათასი ადამიანი დაიღუპა. დაიქცა 14.241 სახლი და 1649 მაღაზია. ამათ რიცხვში არ შედის დაიმოსების და სამურაიების დაქცეული სასახლეები,

კიდევ ერთი საშინელი მოვლენა იაპონიაში ტაიფუნებია.

თანამედროვე მეცნირება ამტკიცებს, რომ ტაიფუნის მიზეზი სითბოა, რომელიც თავისუფლდება ატმოსფერაში ორთქლის გასქელებით. შენიშნულია, რომ ტაიფუნები და ციკლონები იმ დროს ჩნდება, როცა ზღვა დიდხანს ხურდება მზის მწვავე სხივებით და მის ზედაპირზე ჰაერის ფენები შედარებით წყნარია და წყლის ორთქლით არის გაჟღენთილი).



იაპონიის სოფელი.

უმნიშვნელო მიზეზს, როგორიც არის მაგ.: უფრო ცივი ჰაერის მდინარეების შეჭრა, ღრუბლების წარმოშობა, რაიმე მოძრაობა ატმოსფერაში და სხვა. შეუძლიან დაარღვიოს ეს წონასწორობა. რაც შეეხება კორიანტელს—იგი დამოკიდებულია მიწის ბრუნვასა და სხვა მიზეზებზე.

გასაგებია რომ ასეთი ვულკანიური ნიადაგი დაფარული იქნება მდიდარი მცენარეულობით. იაპონიის ფლორა საკმაოდ ცნობილია, ჯერ ერთი იმიტომ რომ მრავალმა ბოტანიკოსმა გამოიკვლია და შეისწავლა იგი. დაწყებული ჰოლანდიელებიდან როდესაც მხოლოდ ისინი იყვენ მიღებული ამ ქვეყანაში; მეორეც იმიტომ, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომელთაც ასე უყვართ ბუნების სიმშვენიერე, არ შეიძლება არ სცოდნოდა და არ გაეცნოთ სხვებისათვის თავისი ქვეყნის მიწის სიმდიდრე.

რეინის ცნობით იაპონიის ფლორა შეიცავს 2743 სახეს გაყოფილს 1035 გვარად და 154 ოჯახად, იმ მცენარეთა გარდა, რომლებიც მიიღეს ჩინეთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან, ან ევროპიდან ისტორიული ხანის შემდეგ. მართალია, იაპონიაში ყვავილებს, მიუხედავად მათი სიმშვენიერისა, არა აქვთ ის სუნი, რომელიც ჩვენ ცის ქვეშა აქვთ, მაგრამ იაპონია მდიდარია სხვადასხვა სახეებით.

ელიზე რეკლიუს სიტყვით იაპონიის ტყეებში სხვადასხვაობა უფრო დიდია, ვიდრე დედამიწის სხვა ქვეყნებში, თვით ტროპიკებშიაც კი. უბრალო სეირნობის დროს გზასაც რომ გადაუხვიოს, ბოტანიკოსს შეუძლია შეხვდეს ხის ასი ოდე სახეს, იმიტომ რომ იაპონია, როგორც ჩინეთი, განსხვავდება ევროპისგან ხეების სახეების სიმრავლით. იაპონიის მცენარეულობა კიდევ იმით განსხვავდება სხვა ქვეყნების მცენარეებისგან, რომ ერთსა და იმავე სივრცეზე მოთავსებულია წიწვიანი და ფოთლიანი მცენარეები ერთად.

მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანი.





მეცხვარე და მარტი

(ხალხური გადმოცემა)

მარტმა მშვიდად გაიარა. უკანაკნელი დღეღა იდგა. მეცხვარე სიხარულით ცას ეწეოდა, რომ ცხვარი არ დაუზარალდა კარგი ამინდების მეოხებით და თავმომწონედ ამბობდა:

ისე გავიდა წელს მარტიო,
ვერ მომიკლა თხის ბღარტიო!

ეს რომ მარტმა გაიგონა, ეწყინა ძალიან; წავიდა აპრილთან და სთხოვა: სამი დღე მასესხეო.

აპრილმაც ასესხა.

აპრილის პირველს სამს დღეს მარტმა საშინელი ავი ამინდი დაიჭირა, რაც სუსხი ჰქონდა, სულ ეხლა გამოუშვა; თოვლ-ჭყაპი, ქარიშხალი, სიცივე ყოველს სულდგმულს გულსა ჰზარავდა. გარედ გასვლა შეუძლებელი იყო.

მაგრამ მეცხვარემ ადრევე შეიტყო მარტის ოინი და თადარიგი დაიჭირა, რაც გაეწყობოდა.

ცხვარი იმ სამ დღეს ფარეხში დაამწყვდია; დაჭირა კატა, ჩასვა ხბოს ტყავის ცარიელს გუდაში და ფარეხის კარებთან საკიდელზე ჩამოჰკიდა.

დამწყვდეული კატა გამხმარს გუდას აფხაკუნებდა, ცხვრის მთელი ფარა კი გაკვირვებული იმას შეჰყურებდა.

ამგვარად გაატარა ცხვარმა სამი დღე და თან წყნარად იცოხნებოდა.

მეოთხე დღეს აპრილმა თავისებურად თბილი ამინდი დაიჭირა, მზეც გამოვიდა.

მეცხვარემაც თავისი ცხვარი უვნებლად გამოუშვა ფარეხიდან.

და ასე აჯობა მარტს მოხერხებულმა მეცხვარემ.

დ. ნახუცრიშვილი.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

სასარგებლო თამაშობანი [1])
(წარმოდგენილი სანისაგან).

აუქციონი.

აუქციონიც ისევე იმართება, როგორც ლატარია, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ, თუ რომელიმე ბავში კითხვაზე ვერ უპასუხებს, მაშინ ქიური მიმართავს, თუ ვის შეუძლია უპასუხოს უკეთ. პასუხი შეიძლება ადგილიდანვე; ასე იწყება ჯიბრი. რომელიც სწორედ უპასუხებს—ჯილდოს ის მიიღებს.

ანკესი.

დაიდგმება კოშკისებური რამე, სადაც მოთავსდება ქიური—საჩუქრებით; წინ კი დაიდგმება მაგიდა და ერთი ზედამხედველი ბილეთებით, რომელშიაც, როგორც ზევითაა მოყვანილი სათამაშოებში, მრავალი სხვადასხვა კითხვებია.

აქვეა ჯოხზე მიბმული ბაწარი ანკესით. ბავშები მიდიან რიგრიგობით, ამოიღებენ ბილეთს, ავლენ მაღლობზე (შეიძლება მაგიდაზე) და წაიკითხავენ ხმამაღლა, მერე ააგებენ ბილეთს ანკესზე და გადაუშვებენ კოშკში, ასე უჭირავთ მანამდე, ვიდრე ხმა მაღლადვე იტყვის პასუხს, რომლის შემდეგ ამოსწევს ანკესს; თუ სწორედ არის ნაპასუხევი, ანკესს ამოყვება კარგი საჩუქარი (თევზი, ხილეული, ნივთები და სხვა) თუ არა და ამოყეება წიწაკა, ან სხვა რამე, რომელიც დაუსრულებელ სიცილს იწვევს და დამარცხებულს კი აქეზებს შემდეგისათვის უფრო მომზადებული გამოვიდეს.

ფიგურების დაჭრა და გადაჯგუფება.

მამა და შვილები.

მამამ სიკვდილის წინ გადასცა ოთხ თავის შვილს ბაღი, რომელსაც ჰქონდა კვადრატის შესახედაობა და დაავალა მათ, რომ ის გაეყოთ თანასწორად მის სიცოცხლეშივე. ბაღის შუა ალაგას იდგა ოთხი კაკლის ხე (ხ), ყველა გვერდებზე შუშის სათბური მცენარეებისა (ს), კუთხეებში კი იყო გამართული ტალავრები (ტ). ძმებმა გაიყვეს ეს ბაღი ოთხ თანასწორ ნაწილად (როგორც რიცხვით, ისე შესახედაობით) და ყველას შეხვდა, როგორც ხე, ისე სათბური და ტალავერიც.

როგორ გაიყვეს ძმებმა ეს ბაღი?

3 გაჭირვებული მდგომარეობა.

ალელვებულს ზღვაზე მიჰქროლავს გემი, რომელზედაც სხვა მრავალ მგზავრთა შორის არის ორი პირუტყვებით მოვაჭარე. ამათ თან მოყავთ ნაყიდი ხარები, თითოს 15 ცალი: პირველს წითელი ფერისა და მეორეს კი შავი ფერისა. უცებ ასტყდა ძლიერი ქარი; ტალღები დალუპვას უპირებენ გემს. გემის უფროსის წინადადებით გემი უნდა შესუმბუქდეს ნახევარი ბარგისაგან, —ანუ სისრულეში მოყვანას მგზავრები კიდეც შეუდგენ. რასაკვირველია, ვაჭრებიც. ცოტა მოლაპარაკების შემდეგ ვაჭრები თავისი ბედი მიანდეს შემთხვევას. დააყენა ორივემ თავიანთი ხარები (30) ერთს რიგში და გადასწყვიტეს ითვალონ 1-დან 9-დე და ყოველი მეცხრე ხარი გადაისროლონ ზღვაში სანამ ყველა ხარების ნახევარი არ დარჩება (15). პირველმა ვაჭარმა ისე მოახერხა ამ ხარების რიგში ჩაყენება, რომ ზღვაში გადაისროლეს 15 შავი და წითელი ხარი (თავისსაკუთრება) კი დარჩა გემზე.

როგორ იდგენ ეს ხარები რიგში?

ს. გოგ-ძე.

„წითელი სხივის“ №1-ში მოთავსებულ გასართობ-ამოცანების ახსნა:

1. გამოცანა: სანთელი.
2. ოთახში.

პირველად სკამების დალაგება:



მეორეჯერ სკამების დალაგება:



მესამეთ სკამების დალაგება:



[1]) იხ. წით. სხ. № 1.

1924 წ.

გამოდის
ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული
ჟურნალები

მოზრდილთათვის	**წითელი სხივი**	წელიწადი 1
მცირე წლ.	**ნაკადული**	წელ: მე-XX

ჟურნალის გამოწერა ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა სკოლებისთვის სავალდებულოა.

ლენინის სახელოგის საქართველოს გავშთა კომუნისტური ჯშუფეგის ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლეკტივის, გავშთა კომუნისტური მოძრაოგის თვითეული ხელმძღვანელის, გიგლიოთეკეგის და სამკითხველოეგის ვალდებულებაა გამოიწეროს

„წითელი სხივი"

— და —

„ნაკადული"

ხელის მოწერა მიიღება თვიურად

ცალკე	„წითელი სხივი"	—	40 კ.
„	„ნაკადული"	—	25 კ.

გადაგზავნა ხელის მომწერის ხარჯით

მისამართი: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5, განათლების სახალხო კომისარიატი „წითელი სხივის" და „ნაკადულის" რედაქცია.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.